ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 3 სექტემბერი, 2020 №186 (8450) ფასი: 60 თეთრი

ჩაქვის სასტუმრო „ოაზისი“ ჩაიკეტა

400 ექიმს ტესტირება ჩაუტარდება

გვ.2



„ნაცმოძრაობამ არჩევნები 100%-ითაც რომ მოიგოს, სააკაშვილს პრემიერობის კანდიდატად ვერ დაასახელებენ“

გვ.2

ნიკა ჩიტაძე: „ოცნება“ ტაქტიკას შეცვლის, მოკრიმინალო ელემენტებს აღარ დააყენებს და ფინანსების მობილიზებას გააკეთებს“

„სააკაშვილმა, შეიძლება, ივანიშვილს ფული კიდევ გამოსძალოს“

გვ.2

დავით ჭიჭინაძე: „კობახიძე ვერ ამჩნევს კალაძეს, მის უახლოეს გარემოცვას, რომელიც სააკაშვილის საპრეზიდენტო კამპანიის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო“

„ოცნებამ“ ცადა, ფულით მოვესყიდეთ. არ გავიყიდეებით!“

გიგა მაქარაშვილი: „ივანიშვილის ადგილას რომ ვიყო, ამ არჩევნების მოგებას ნამდვილად არ მოვისურვებდი“

გვ.3

დავით ლორთქიფანიძე: „სააკაშვილი „მაგარი ხუმრობის“ ხასიათზეა“

გვ.4

გერმანელი ექსპერტები საქართველოში რუსეთის გავლენის ზრდაზე საუბრობენ

გვ.4

დავით ქაცარავა: „ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ რუს ოკუპანტს დისკომფორტი არ შეექმნას“

გვ.3

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაბა მესტიასა და ლენჯერში საკარანტინო შეზღუდვებზე კონტროლი მოხსნა

გვ.5

ISSN 1987-9385

5 „ყველაზე გამეტებით გოგო მირტყამდა“
ივიკო ფრუიძე თბილისის ბარში წიხლქვეშ გაიგდეს

6 რუსეთი ბელარუსს ვალებს ჩამოაწერს

5 სევა შამოიანი: „შალვა გოგოლაძემ ბენზინი ჭიშკართან გადამასხა და ცეცხლი მომიკიდა“

6 გერმანიის მთავრობა: „ნავალნი ნოვიჩოკით მოწამლეს“

„სააკაშვილმა, შეიძლება, ივანიშვილს ფული კიდევ გამოსძალოს“

დავით ჭიჭინაძე: „კობახიძე ვერ ამჩნევს კალაძეს, მის უახლოეს გარემოცვას, რომელიც სააკაშვილის საპრეზიდენტო კამპანიის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო“

ნათია ხურცილავა

პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– პატონო დავით, „ქართული ოცნება“ ნაციონალური მოძრაობისა და „პატრიოტთა ალიანსის“ გათანაბრებას ცდილობს. როგორ ფიქრობთ, რატომ?

– ნაციონალური მოძრაობისა და „პატრიოტთა ალიანსის“ გათანაბრება იმდენად აბსურდულია, რომ ირაკლი კობახიძესა და მის გარემოცვას, კოლექტიურ ზარდიაშვილებს ავიწყდებათ, თავად საიდან მოდიან. თუ დღეს სადმე ტოლობის ნიშანია დასასმელი, ეს „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორისაა.

ახალ საარჩევნო სიას რომ წარმოადგენს მმართველი პარტია, აი, მაშინ ვილაპარაკოთ, ვინ, სად და რამდენია. პარლამენტში „პატრიოტთა ალიანსი“ ცდილობდა ნაციონალური მოძრაობის რეჟიმად გამოცხადებას, მაგრამ სწორედ ის ჯგუფი, რომელიც თავის დროზე გადმობარგდა, ამის სასტიკი წინააღმდეგი წავიდა.

ამ ქვეყანაში პოლიტიკური ამნეზიის დათესვას ცდილობს ირაკლი კობახიძე, რაც შეუძლებელია, გამოუვიდეს. ძალიან უსუსურ მცდელობებთან გვაქვს საქმე და მეტი არაფერი. ეს არ არის ახალი პოლიტიკა, თითქოს ყველა ნაციონალია ამ ქვეყანაში, მაგრამ, მათ რიგებში რომ რეალური ნაციონალები არიან, ამას ვერ ამჩნევენ. კობახიძე ვერ ამჩნევს კალაძეს, მის უახლოეს გარემოცვას, რომელიც სააკაშვილის საპრეზიდენტო კამპანიის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო, მაგრამ ამას ხომ ხალხი კარგად ამჩნევს.

– კობახიძე საარჩევნო სიაზე საუბრობს, რომელიც ჯერ ვერ წარმოადგინეს. როგორც გვითხრეს, საარჩევნო სიის პირველი ნომერი ჯერ ისევ უცნობია, თუმცა 10 დღეში წარადგენენ. ვინ შეიძლება, სიის პირველი ნომერი იყოს?

– პრემიერ-მინისტრი, რომელიც რეალურად საარჩევნო სიის პირველი ნომერი უნდა იყოს, გამოდის და ამბობს, მომავალი წელი უარესი იქნებაო ასეთი განცხადების შემდეგ ხელისუფლებამ თავზე ქუდი უნდა დაიხუროს და არჩევნებს თავი უნდა დაანებოს. „ქართული ოცნება“ გვპირდება, რომ მომავალი წელი უარესი იქნება. ხალხის უიმედობას, ნიჰილიზმს კიდევ ამის დამატება უნდა?! როდესაც ადამიანები ყოველდღე სამუშაო ადგილებს კარგავენ, უხელფასოდ რჩებიან, ამ ფონზე როგორ უნდა დაასახელონ პირველი ნომერი?! და ვერც სიას წარმოადგენენ, სანამ ბოლო ვადა არ დადგება. ეშინიათ.

– რისი?

– იმ დეპუტატების ეშინიათ, რომლებიც ელოდებიან სიაში ჩაწერას. როდესაც ეს ხალხი აღმოაჩენს, რომ სიაში არ არის, გამოვლენ და ბევრს ილაპარაკებენ, ოპოზიციაში გადავლენ. ამის ეშინიათ.

– ფიქრობთ, ამიტომ იგვიანებს „ოცნების“ სია?

– დიახ, რა თქმა უნდა! ეს არის რეალური მიზეზი. თუ გამოსაჩენი სახეები ჰყავთ, რაც მალე გამოაჩენენ, მით უკეთესი არ არის მათთვის?! თუმცა, როგორც ჩანს, რცხვენიათ კიდეც იმ ხალხის გამოჩენის, რომლებიც უკვე ჩაწერეს სიაში.

– ექსპერტები ამბობენ, რომ ოპოზიცია ახალს ვერ სთავაზობს ამომრჩეველს და ამიტომ ალტერნატივის გარეშეა „ოცნება“. ეთანხმებით?

– მე ერთი რამ შემიძლია, დანამდვილებით გითხრათ: სახელისა და გვარების ცვლილებებით არაფერი შეიცვლება. საჭიროა სისტემური ცვლილებები, რეალური ცვლილებები, რომლებიც ამ ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანს, გარდატეხას შეიტანს იმ ეკონომიკურ პროცესებში, რომლებიც ადგილზეა გაყინული. შეუძლებელია, ბანკების ინტერესების დაცვით რეალური ეკონომიკა ამუშავდეს ქვეყანაში. სამთავრობო უწყებები პირდაპირ ემსახურებიან ფინანსურ ჯგუფებს. ეს არის დღევანდელი სახელმწიფოს პოლიტიკა. ბანკირების ინტერესების დაცვით შორს ვერ წავალთ. თურნავას ეკონომიკური პოლიტიკით შორს ვერ წავალთ. ეს ხალხმა კარგად უნდა გააცნობიეროს.

იგივე დამოკიდებულება აქვს ოპოზიციის უდიდეს უმრავლესობას ბანკირებისადმი. ამ პოლიტიკოსებს თავიანთ ფანჩატურში ჰყავდათ დასმული ბანკირები და იძახდნენ, პოლიტიკოსები უარესები ვართო. ამ კატეგორიის პოლიტიკოსები, რა თქმა უნდა, ქვეყანას წინ ვერ წაიყვანენ. სულ ცოტა, ამორალურიც კია.

– ხაზარაძეზე საუბრობთ?

– ხაზარაძესთან მიმართებით ორი-სამი თვის წინ პოლიტიკოსები რომ განცხადებებს აკეთებდნენ, მათზე ვსაუბრობ.

– რაიმე არაორდინარულს ელოდებით წინასაარჩევნოდ?

– სიმართლე გითხრათ, ახალს არაფერს ველოდები ამათგან. ესენიც გამოცდილები არიან და ისინიც. ხალხს ჩვენ შეგვიძლია, სიახლე შევთავაზოთ და მათი უფლებებისთვის ვიბრძოლოთ.

– სააკაშვილს ელოდებით?

– არა, არა. სააკაშვილმა შეიძლება მორიგჯერ გამოსძალოს ფული ივანიშვილს, რომ მორიგჯერ გააკეთოს ივანიშვილისთვის სასარგებლო განცხადება.

– გჯერათ ამ გავრცელებული აზრის?

– რა თქმა უნდა, ამაში დარწმუნებული ვარ. ეს სავსებით ლოგიკურია, რადგან მათ ერთმანეთი სჭირდებათ. ისინი ერთმანეთს კვებავენ. კიდევ ერთია, ნაციონალურ მოძრაობაში ახალი ლიდერები ყალიბდებიან, რომლებიც გამარჯვების მოპოვებას სააკაშვილის გარეშე შეეცდებიან.

„ნაცმოძრაობამ არჩევნები 100%-ითაც რომ მოიგოს, სააკაშვილს პრემიერობის კანდიდატად ვერ დაასახელებენ“

ნიკა ჩიტაძე: „ოცნება“ ტაქტიკას შეცვლის, მოკრიმინალო ელემენტებს აღარ დააყენებს და ფინანსების მობილიზებას გააკეთებს“

იაგო ნაცვლიშვილი

კორონავირუსის შემთხვევების მატების გამო ჩნდება თუ არა არჩევნების გადადების რისკი, ხელოვნურად ხომ არ ამძაფრებს სიტუაციას მმართველი გუნდი და აწყობს თუ არა არჩევნების გადადება, ხომ არ გაჩნდება ეჭვები არჩევნების ლეგიტიმურობაზე, თუ საერთაშორისო დამკვირვებლები ვერ ჩამოვლენ და რატომ თვლის, რომ ნაციონალური მოძრაობა და მიხეილ სააკაშვილი შეცდომებს უშვებენ? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

– ხელისუფლება გვეუბნება, რომ საერთაშორისო დამკვირვებლების უმეტესობა ვერ ჩამოვა არჩევნებზე. არჩევნების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით ეს ეჭვებს ხომ არ გააჩენს?

– ეს საკითხი გასარკვევია. მათ თქვეს, რომ დაინტერესებული არიან, რაც შეიძლება მეტი დამკვირვებელი იყოს. შემდეგ განაცხადეს, რომ შეზღუდული რაოდენობა იქნება. უნებრივია, დამკვირვებლები მაინც იქნებიან, უბრალოდ, შეზღუდული რაოდენობა იქნება. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, შესაძლოა, აღნიშნულმა ფაქტორმა პრობლემები შექმნას იმავე ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით, იმავე სხვა სახის პრობლემებთან მიმართებით, რაც დაკავშირებულია საარჩევნო უბნებთან.

„ოცნებას“ ისედაც გააჩნია უპირატესობა, რაც უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ძირითადი შემოწირულობის უდიდესი ნაწილი მასზე მოდის. შარშანდელ მონაცემებს თუ დავეყრდნობით, „ოცნებამ“ 50%-ზე მეტი მიიღო. უფრო მეტი შემოწირულობა მიიღო მმართველმა პარტიამ, ვიდრე ყველა სხვა პოლიტიკურმა პარტიამ ერთად.

– ანუ ეს ფაქტორი მას კიდევ უფრო მეტ უპირატესობას აძლევს? ახსენეთ ადმინისტრაციული რესურსი და, პრინციპში, ვიცით, რომ მას ისედაც იყენებენ – ჩამოდიან თუ არა დიდი რაოდენობით დამკვირვებლები და, ალბათ, თვალი უნდა გავუსწოროთ ამას. ასე არ არის?

– კი. ისედაც იყენებდა მას და ეს ბუნებრივია, მაგრამ ფაქტია, რომ დამკვირვებლები აქამდე შედარებით თვალს ხუჭავდნენ და ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდათ წინასაარჩევნო და საარჩევნო პროცესის მიმართ. ვგულისხმობ როგორც 2016 წლის საპარლამენტო, ასევე საპრეზიდენტო არჩევნებსაც.

– ანუ ერთგვარი წითელი ხაზის არჩევნებია ეს და ამ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე იმდენად აღარ დახუჭავდნენ ისინი ამჯერად თვალს?

– კი, ზუსტად ამის თქმა მინდოდა. საერთაშორისო დამკვირვებლების მხრიდან კონტროლი გაიზრდებოდა. გაცილებით უფრო მომთხოვნია დღევანდელ ეტაპზე საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოება, ვიდრე, მაგალითად, ეს იყო თუნდაც წინა არჩევნების დროს. აქედან გამომდინარე, თუ „ოცნება“ დღეს აცხადებს, რომ კორონავირუსის გამო ბევრი დამკვირვებელი ვერ დაესწრება და ა.შ. ეს საფუძვლიან ეჭვს ქმნის, რომ შესაძლებელია, მმართველ ძალას ჰქონდეს სურვილი, რომ როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე არჩევნების დღეს დაარღვიოს საარჩევნო პრინციპები. მაგრამ, მე მაინც მგონია, რომ საერთაშორისო ზეწოლის შედეგად „ოცნება“ ტაქტიკას შეცვლის. შესაძლებელია, საარჩევნო უბნებთან მოკრიმინალო ელემენტები არ დააყენოს, მაგრამ ძირითადი აქცენტი მაინც ფინანსური რესურსების მობილიზებაზე გაკეთდება.

– ამომრჩევლის მოსყიდვისთვის?

– არა მარტო. აქ უფრო საუბარია იმაზე, რომ კამპანიის პერიოდში გამოიყენოს ეს თანხები, იმავე რეკლამებზე დაიხარჯოს ფული. ასევე მოხდება თანხის მობილიზება არჩევნების დღისათვის, რომ ბევრი ადამიანი, რომლებიც არ ცხოვრობენ თავიანთი რეგისტრაციის ადგილზე, ისინი ჩაიყვანონ საარჩევნო უბნებზე. ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია. სამწუხაროდ, ამაზე ოპოზიცია არ ამახვილებს ყურადღებას, რითაც დიდ შეცდომას უშვებს.

მაგალითად, ნაციონალური მოძრაობა ამბობს, თუნდაც იგივე მიხეილ სააკაშვილი, რომ ნაცმოძრაობა უპირობოდ იგებს არჩევნებს და ა.შ. მე მგონია, რომ ასეთი მიმართვა თუნდაც თავისი მომხრეების მიმართ შეცდომაა.

– ჩემთვისაც გასაკვირია პოლიტიკოსების ასეთი განცხადებები, რომ ის ან მისი პარტია იგებს მაჟორიტარულ ოლქში. შაინტერესოა, რაზე დაყრდნობით ამბობენ ამას, როცა კვლევები სხვა რამეს გვეუბნება?

– შეიძლება, ჩაუსახო რწმენა შენს მომხრეებს, მაგრამ ბევრმა შეიძლება ასეთი განცხადება ჩათვალოს იმგვარად, რომ ჩვენები, მაგალითად, ნაციონალური მოძრაობა მაინც იგებს და აღარ წავიდეს არჩევნებზე, არ ჩავიდეს თავის რეგიონში და არ მისცეს ხმა. მე ვიცი, რომ ასეთი შემთხვევები იყო 2016 წელს, როდესაც ნაცმოძრაობის მომხრეები არ ჩავიდნენ რეგიონებში და მათ არ მისცეს ხმა. ამიტომაც მგონია, რომ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ჩაქვის სასტუმრო „ოაზისი“ ჩაიკეტა

400 ექიმს ტესტირება ჩაუტარდება

გუშინ, 2 სექტემბერს, ჩაქვში, სასტუმრო „დრიმლენდ ოაზისში“ კონფერენციაზე მყოფ პირს კოვიდ 19 დაუდასტურდა.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა, ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირების გამოკვლევა დაიწყება.

– სასტუმრო „ოაზისში“ ჩემი კოლეგების კონფერენცია მიმდინარეობს, სადაც ერთ-ერთ პირს ჰქონდა საეჭვო სიმპტომები, კონტაქტირებული იყო ინფიცირებულთან, რის გამოც ის გაიტესტა. სწორედ ახლა მომაწოდეს ინფორმაცია, რომ მას ინფექცია დაუდასტურდა, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში.

ჯანდაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე აცხადებს, რომ სასტუმრო „ოაზისში“ ეპიდემიოლოგიური კვლევა დაწყებულია და შედეგების მიხედვით მოხდება სასტუმროში მყოფი 400-მდე ექიმის კარანტინისა და თვითიზოლაციაში გადანაწილება.

მისივე განცხადებით, სასტუმრო „ოაზისში“ კონფერენციაზე მისი მოადგილის ჩასვლა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე გადაიდო.

– დღესდღეობით მნიშვნელოვანი ვითარებაა სასტუმრო „ოაზისში“, სადაც არის 400-მდე ქართველი ექიმი, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვან კონფერენციას ესწრებოდნენ, სადაც აუცილებლად უნდა ჩასულიყო ჩემი მოადგილე, თამარ გაბუნია და ასევე, რეგულირების სააგენტოს ხელმძღვანელი ზაალ კაპანაძე. ამ დროისათვის მიგვაჩნია, რომ მათი ვიზიტი უნდა გადაიდოს, ვინაიდან იცით, რომ სასტუმროში დაფიქსირდა ვირუსი.

გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ გარკვეული ვადით სასტუმრო „ოაზისი“ ჩაიკეტება, თუმცა ჩვენ ასევე მყისიერად მივიღეთ ზომები, რომ სასტუმროში დაიწყოს ეპიდემიოლოგიური კვლევა და ექიმების ტესტირება, რათა შესაბამისი პროტოკოლით მოხდეს ამით გადანაწილება თვითიზოლაციასა და კარანტინში, – განაცხადა მინისტრმა წყალტუბოში დევნილებისათვის ბინების გადაცემის ცერემონიალზე სიტყვით გამოსვლისას.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩაქვის სასტუმრო „დრიმლენდ ოაზისი“ მხოლოდ 15 წუთით გაიხსნა, რომლის დროსაც ტერიტორია რამდენიმე ექიმმა დატოვა. „მთავარის“ ინფორმაციით, ამ ექიმთა ჯგუფში იმყოფებოდა კახა კალაძის სიდედრი და სწორედ მის გამოსაყვანად გაიხსნა სასტუმროს ტერიტორია მცირე დროის განმავლობაში.

მოგვიანებით კახა კალაძის მეუღლე ანუკი არეშიძემ უარყო ეს ინფორმაცია.

„ტყუილია!!!! გავრცელდა ცრუ ინფორმაცია, თითქოს დედაჩემმა დატოვა სასტუმრო „დრიმლენდ ოაზისის“ ტერიტორია. დედა იმყოფება ჩაქვში, ექიმების მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე და, როგორც ყველა მისი კოლეგა, რჩება სასტუმროში ინსტრუქციის სრული დაცვით“, – აღნიშნა ანუკი არეშიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნებამ“ ცადა, ფულით მოვესყიდეთ. არ გავიყიდებით!“

გიგა მაქარაშვილი: „ივანიშვილის ადგილას რომ ვიყო, ამ არჩევნების მოგებას ნამდვილად არ მოვისურვებდი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სამოქალაქო აქტივისტი, „სირცხვილიას“ ლიდერი გიგა მაქარაშვილი პასუხობს.

– გიგა, აქტიურ წინასაარჩევნო პროცესშია ქვეყანა. ორი თვეც აღარ დარჩა არჩევნებამდე, თუმცა საზოგადოება დიდად აღფრთოვანებული არ არის, არ მოსწონს პოლიტიკურ სპექტრი, ძველი და ერთი და იგივე სახეები. დიდმა ნაწილმა არ იცის, ვის უნდა მისცეს ხმაო. როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერზე?

– ფაქტია, რომ უმნიშვნელოვანესი არჩევნების წინ ვართ და ამ ყველაფრის ფონზე განსაკუთრებით იგრძნობა, თუ როგორი არაჯანსაღია პოლიტიკური სიტუაცია. საუბარია იმაზეც, რომ ბევრი რამე შეცვალა თვითონ პანდემიამაც, რის გამოც უამრავი კორექცია მოხდა თვითონ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ მის გარეშეც ჩვენი პოლიტიკური სპექტრი ამ კრიზისს ვერ ხვდება ღირსეულად. ლაპარაკია ხელისუფლებაზე და ასევე ოპოზიციაზე, რომელიც, სამწუხაროდ, იმის მაგივრად, რომ ხატავდეს იმ გზებს, როგორ უნდა გამოიყვანოს ქვეყანა კრიზისიდან, იმ მეთოდებს, როგორ უნდა იბრძოლონ კორუფციის, სტაგნაციისა და უამრავი პრობლემის წინააღმდეგ, ჭამენ ერთმანეთს, არიან აბსურდულ ბრალდებებში გადაჭრილები და ამით სარგებლობს მხოლოდ და მხოლოდ ის მოძალადე ხელისუფლება, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცვალოს!

– ამ პროცესებმა ძალიან დაა ზარალა ოპოზიცია. გაერთიანების შენარჩუნების მაგივრად ერთმანეთის ლანძღვით არიან დაკავებული. რატომ ვერ განსაზღვრეს ეს სიტუაცია და წინასაარჩევნოდ მაინც არ შეიკავეს თავი ამ ლანძღვა-გინებისა და ურთიერთდაპირისპირებისგან?

– ძალიან სწორი კითხვაა და, როგორც ჩანს, ამ კითხვაზე პასუხი თვითონაც არა აქვთ. უნებრივია, გაჭირდება მასზე ზუსტი პასუხის გაცემა, თუმცა ფაქტი არის ის, რომ ყველა პოლიტიკურ პარტიას თავისი პოლიტიკური გეგმა აქვს. თუმცა არის ქვეყნის ისტორიაში რაღაცა მნიშვნელოვანი მომენტები და მათ ეს მომენტები უნდა იგრძნონ, რომ აუცილებელია რაღაცების უკანა პლანზე გადაწევა. თუნდაც ის მცირეხნიანი ერთობა, რომელიც, მე ვფიქრობ, სამოქალაქო საზოგადოების ძალიან ძლიერი მოთხოვნის პასუხად შედგა ლეიბორისტების ოფისში და რამდენიმე თვე ძალიან დამაიმედებლად გამოიყურებოდა. უამრავი ოპოზიციური პარტია ერთი მაგიდის გარშემო – ესეც უკვე შედეგი იყო...

– მაინცდამაინც წინასაარჩევნოდ დაინგრა ეს ერთობის მითი.

– სამწუხაროდ, ასეა და ამაზე ძალიან კარგად მუშაობს უამრავი ადამიანი „ქართული ოცნებიდან“, უფრო ზუსტად, მათ მიერ დაქირავებული მაღალი რანგის ექსპერტი. ზუსტად იციან, ვის რა უნდა ჩააწვეთონ, ვის როგორ უნდა ელაპარაკონ.

– კარგად იმუშავა ივანიშვილმა ოპოზიციის შიგნითო, ვისმენთ ასეთ შეფასებებს და თქვენც ემხრობით ამ მოსაზრებას?

– ზუსტად, რომ ასეა. ფაქტია, ყველაფერი გააკეთა ივანიშვილმა იმისთვის, რომ ეს ერთობა აღარ შემდგარიყო და ამ ეტაპზე უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ერთობა ოპოზიციაში აღარ არის.

– შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიციის ნაწილი გაიყიდა?

– გაიყიდა ცოტა ხმამაღალი ნათქვამია. მე ვერ დავდებ ასე პირდაპირ ბრალად ვინმეს, თუმცა ახლა, ერთი მოქალაქის გადმოსახედიდან, რომელიც გრძნობს ამ ცვლილებების აუცილებლობას, გრძნობს, როგორი მნიშვნელოვანია ოპოზიციური პარტიების ერთობა, ჩემთვის ეს ყველაფერი არის კიდევ უფრო მძაფრი და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე გაყიდვა. იქ არიან ოპოზიციური პარტიები, რომლებიც გარკვეულ დონეზე კოალიციასაც შეუქმნიან ბიძინა ივანიშვილს და დიდი დრო აღარ დარჩა, ამას ვნახავთ ორ თვეში. თუ ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის ჩარევის გარეშე მოხდა, მაშინ საქმე გვაქვს ყოვლად უგუნურ ოპოზიციურ სპექტრთან, ხოლო თუ ეს მოხდა ბიძინა ივანიშვილის ჩარევით, მაშინ საქმე გვაქვს ოპოზიციური პარტიების ნაწილის მზაკვრულ გეგმასთან და შეიძლება, ეს ჩაითვალოს როგორც გაყიდვა, საკუთარი სინდისისა და საკუთარი ქვეყნის!

– ორი თვეც აღარ დარჩა არჩევნებამდე და ექსპერტთა ერთი ნაწილი ამბობს, რომ თუ ასე გაგრძელდა სიტუაცია, თუ ოპოზიციამ შეცდომა შეცდომაზე დაუშვა, სულაც არ დასჭირდება „ოცნებას“ კოალიცია, მარტოც შეძლებს, მოვიდეს მესამე ვადით. ამაზე რას იტყვი?

– ეს არ არის შორს რეალობისგან. თუ ასე გაგრძელდა, კორონას დახმარებითაც, რეგულაციების დახმარებითაც, თუ ისევ გამოგვკეტა ამ კაცმა და ვეღარ მოახერხა ოპოზიციამ, ისედაც დაქსაქსულმა, შეხვედრების გამართვა, აუცილებლად ძლიერი პოზიციები ექნება ბიძინა ივანიშვილს. თუმცა ესეც არ არის გარანტია მისთვის, ის იმდენად ცარიელია ინტელექტუალური რესურსით თავის პარტიაში, რომ მე ვფიქრობ პირადად, უამრავ შეცდომას

გაგრძელება მე-4 გვერდზე

დავით ქაცარავა: „ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ რუს ოკუპანტს დისკომფორტი არ შეექმნას“

„ჩვენმა ხელისუფლებამ 2012 წლიდან გადაწყვიტა, აწარმოოს ე.წ. არგაღიზიანების პოლიტიკა, რომელსაც წარმატებით ახორციელებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სამოქალაქო მოძრაობის „ძალა ერთობაშია“ ლიდერი დავით ქაცარავა პასუხობს.

– პატონო დავით, რა ხდება საოკუპაციო ხაზთან? ოკუპანტები ავტობანიდან 300 მეტრში ხნულებს ავლებენო. რა ვითარებაა და ხელისუფლების მხრიდან თუ იყო რეაგირება?

– ავტობანიდან 300 მეტრში, სოფელ ყარაფილასთან, ოკუპანტები მოუყვებიან ოკუპაციის ხაზს და ავლებენ ხნულებს. იმის მაგივრად, ოკუპანტების ნებისმიერ მოქმედებაზე სასწრაფო რეაგირება ხდებოდეს, ოკუპანტებს ხელს ვუშლიდეთ ნებისმიერ მოქმედებისას, ჩვენი ხელისუფლება მშვიდად და წყნარად აგრძელებს თავის მზადებას ძალაუფლების შესანარჩუნებლად.

– რა მოქმედებები მიმდინარეობს საოკუპაციო ხაზთან?

– მიმდინარეობს ხნულების განახლება. ახლაც, როდესაც თქვენ გესაუბრებით, ავტობანზე ვართ შეკრებილი და ამ პროცესს თვალს ვადევნებთ. ხნულების განახლება, შესაძლებელია, სხვადასხვა რამეს უკავშირდებოდეს. ერთი არის ის, რომ ჩვენს სახელმწიფოზე ზემოქმედების ბერკეტია, პრესინგი მიმდინარეობს ჩვენზე, როგორც სახელმწიფოზე რუსეთის მხრიდან, ასევე შესაძლოა, ამ ხნულების განახლების პროცესი უკავშირდებოდეს მოსამზადებელ პერიოდს. იგულისხმება ის, რომ არ არის გამორიცხული, რაღაც მომენტში მავთულხლართების გაბმაც დაიწყოს. რეალურად იქ, სადაც ჩვენი ავტობანია, ორ ნაბიჯში გადის ოკუპაციის ხაზი, სადაც ოკუპანტები თავისუფლად გადაადგილდებიან და უშუალო სიახლოვეს არიან ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიასთან. ეს საგანგაშოა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლებისგან არანაირი ხელის შეშლა ოკუპანტებისთვის არ შეინიშნება.

– როგორ უნდა მოხდეს ხელის შეშლა, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ?

– რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვგულისხმობთ იმას, რომ საომარი მოქმედებები უნდა დაიწყოს, მაგრამ თუნდაც დიპლომატიურ ველზე რომ იყოს აქტიური ჩვენი ხელისუფლება, ამასაც ვერ ვამჩნევთ. შესაბამისად, ოკუპანტი ძალიან კომფორტულ მდგომარეობაშია. ის აკეთებს ყველაფერს, რასაც მოინდომებს და ხელის შემშლელი მისთვის, ჟურნალისტებისა და საზოგადოების წარმომადგენლების გარდა, ფაქტობრივად, არავინ არის. ის ფუნქცია, რომელიც უნდა ჰქონდეს შეთავსებული სახელმწიფოს და ის იცავდეს ჩვენ უსაფრთხოებასა და ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, ეს არ ხდება.

– მსგავს შემთხვევებზე რატომ არანაირი რეაგირება არ ხდება ხელისუფლების მხრიდან?

– მოდით, შევთანხმდეთ იმაზე, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ 2012 წლიდან გადაწყვიტა, აწარმოოს ე.წ. არგაღიზიანების პოლიტიკა, რომელსაც წარმატებით ახორციელებს. მთავარია, რუსი არ გაღიზიანდეს, მთავარია, იყოს „მშვიდობა და სტაბილურობა“ და არანაირი ყურადღება არ ექცევა არც ბორდერიზაციას, რომელიც, სხვათა შორის, 2012 წლიდან აჩქარდა და საგანგაშო მასშტაბები მიიღო. გატაცებებზეც იმავეს თქმა შემიძლია, ჩვენი ხელისუფლება კი ცდილობს, მაქსიმალურად ჩააქროს აღშფოთების ის მუხტი, რომელიც არსებობს საზოგადოებაში. ასე რომ, ხელისუფლების მიზანმიმართული პოლიტიკაა სიტუაციის განეიტრალება, ოღონდ განეიტრალება იმ კუთხით, რომ რუს ოკუპანტს არ შეექმნას დისკომფორტი.



– ეს ხომ არ არის რაიმე ახალი პროვოკაცია რუსეთის მხრიდან წინასაარჩევნოდ?

– ერთმნიშვნელოვნად რამეზე საუბარი რთულია. შესაძლებელია, ეს იყოს პროვოკაცია, შესაძლებელია, იყოს მინიშნება ჩვენს ხელისუფლებაზე, ზეწოლა, რომ აი, ნახეთ, ჩვენ შეგვიძლია, ყველაფერი გავაკეთოთ, რასაც მოვისურვებთ და, თუ თქვენ არ გააგრძელებთ იმ არგაღიზიანების პოლიტიკას, ამ შემთხვევაში ისინი ნიშანს გვაძლევენ, რომ ნებისმიერ რამეს გააკეთებენ, რაც ჩვენს სახელმწიფოებრიობასა და სახელმწიფო ინტერესებს დააზარალებს. ეს, შეიძლება, უფრო მინიშნება იყოს, ე.წ. პრესინგი ხელისუფლების მიმართ, რომელიც კიდევ ერთხელ შეხსენების ხასიათს ატარებს, რომ აი, ვინ არის აქ ბატონ-პატრონი და აქ არაფერი ზედმეტი არ გაბედოთ. რუსების აქტივობა არახალია. სამწუხაროდ, ისინი აქტიურები არიან და აქეთა მხრიდან ხელის შემშლელიც არავინ ჩანს.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

„ნაცმოძრაობამ არჩევნები 100%-ითაც რომ მოიგოს, სააკაშვილს პრემიერობის კანდიდატად ვერ დაასახელებენ“

მოწოდება უნდა იყოს შემდეგი, რომ ნაცმოძრაობას გამარჯვების შანსი აქვს, მაგრამ ამისთვის საჭიროა თითოეული თქვენგანის ხმა, იქნებ ჩახვიდეთ და ხმა მისცეთ პარტიას. ამ მხრივ „ოცნებას“ დიდი უპირატესობა აქვს.

– ნაცმოძრაობას რეალური შანსი აქვს, რომ გაიმარჯვოს ანუ მოვიდეს უმრავლესობაში?

– გარკვეული შანსები აქვს. მას უფრო მეტი შანსი აქვს დღეს, ვიდრე თუნდაც 2016 წელს. გააჩნია, როგორ წარმართავენ წინასაარჩევნო კამპანიას.

– ირაკლი კობახიძე ამბობს, 12% აქვს და, იმედი მაქვს, ერთნიშნა რიცხვამდე ჩამოვა მისი რეიტინგიო.

– ირაკლი კობახიძე ამბობს ამას, მაგრამ ფაქტია, რომ 2018 წელს ნაცმოძრაობის კანდიდატი მეორე ადგილზე გავიდა. მან პირველ ტურში მიიღო დაახლოებით 600.000 ხმა და მეორე ტურში – 780.000 ხმა.

– თუმცა მაშინ ოპოზიციის გაცილებით მაღალი აქტიურობა ჩანდა, ამ ეტაპის მონაცემებით კი ეს რატომღაც არ ჩანს.

– კი, ფაქტია, მაგრამ ნაცმოძრაობის რეიტინგი 12%-ს, რა თქმა უნდა, სცდება. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალურმა მოძრაობამ 27% მიიღო. საპრეზიდენტო მაჩვენებელი ვთქვი უკვე და ცხადია, რომ 12%-ს სცდება მისი რეიტინგი.

მე მაინც მიმაჩნია, რომ შეცდომაა თუნდაც ყოფილი პრეზიდენტის განცხადება, ცალსახად იგებს ნაციონალური მოძრაობა და მე ჩამოვდივარ საქართველოშიო. ესეც ცალკე საკითხია, მაგრამ ეს შეცდომად მიმაჩნია.

ჯერ ერთი, 100%-იც რომ მიიღოს ნაციონალურმა მოძრაობამ, სააკაშვილს პრემიერ-მინისტრად ვერ წარადგენენ, იმიტომ, რომ გარკვეული პროცედურების გავლაა საჭირო. იქ შეიძლება არასამართლიანად აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

– მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებს გულისხმობთ და იმას, რომ მის წინააღმდეგ პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა?

– დიახ, რა თქმა უნდა. საჭიროა პროცედურების გავლა. ეს ასე ადვილი არ არის. შესაძლოა, უსაფუძვლოდ აქვს ბრალი წარდგენილი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, პროცედურები გასავლელია.

– სააკაშვილს ნაცმოძრაობის 80%, ალბათ, უჭერს მხარს და ეს თქვენ კამპანიის ნაწილად ხომ არ მიგაჩნიათ?

– კი ბატონო. რეალობა ასეთია, მაგრამ, შესაძლოა, შეიქმნას წინაპირობა იმისთვის, რომ მომავალში სააკაშვილი გახდეს პრემიერ-მინისტრი და არა ის, რომ ახლავე გახდება პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი და ჩამოვა საქართველოში. ჯერ ვერანაირად ვერ ჩამოვა. როდესაც ამბობ, ჩამოვალო და მერე ვერ ჩამოდიხარ, ეს ამომრჩეველში გარკვეულ დაბნეულობას იწვევს.

– ერთგვარ იუმორის თემადაც იქცა სააკაშვილის ჩამოსვლა-არჩამოსვლის საკითხი.

– წინაპირობა უნდა შეიქმნას და უნდა განაცხადოს, თქვენი მხარდაჭერა მჭირდება – გაიჭირვეთ ერთხელ და ჩადით საარჩევნო უბნებზე, მოგვეცით ხმა, რათა მომავალში შეიქმნას იმის წინაპირობა, რომ მე დავბრუნდე საქართველოში და გავხდე პრემიერ-მინისტრიო. დაპირება უნდა იყოს რეალისტური.

– კორონავირუსი ახსენეთ და ამაზეც მაქვს კითხვა – ხომ არ ხედავთ რისკს, რომ „ოცნებას“ უნდა არჩევნების გადადება. მატულობს შემთხვევები და ხომ არ ხედავთ საფრთხეს, რომ „ოცნება“ ცდილობს ვითარების ხელოვნურად დამძიმებას?

– „ოცნებას“ არჩევნები მაინც ექნება ჩასატარებელი. მე პირიქით მგონია, რომ კორონავირუსის ფაქტორის გამო „ოცნების“ რეიტინგი შედარებით გაიზარდა. იგივე „ედისონ რისერჩის“ კვლევის მიხედვით, მისი რეიტინგი 39%-ია. ამ შემთხვევაში, მგონია, რომ მას არ ექნება სურვილი, ეს ხმები გაფანტოს და მხარდაჭერა დაკარგოს.

საქართველო, მეზობლებისა და განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, მაინც კარგად უმკლავდება ვირუსს. თქვენ თქვით, რომ გაიზარდა შემთხვევები, მაგრამ ეს არ არის ის შემთხვევა, როდესაც შეიძლება ითქვას, რომ კორონავირუსმა საქართველო დაამარცხა.

აქედან გამომდინარე, მე ასე მგონია, რომ „ოცნებას“ აწყობს, არჩევნები დათქმულ ვადებში ჩატარდეს, სანამ ის რეიტინგი მაღალია. მომავალში ეკონომიკურმა ვარდნამ შეიძლება უფრო მეტად იჩინოს თავი, რომელიც, სხვათა შორის, მხოლოდ საქართველოში არ არის.

– პრემიერმა თქვა, რომ ბავშვების მიმართ გასაცემი დახმარებების დარიცხვა 1 კვირაში უნდა დასრულდეს. ხომ არ დაამთხვიეს სპეციალურად იმ პერიოდს, როდესაც ოფიციალურად გამოცხადდა საარჩევნო კამპანია?

– საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს სოციალური პაკეტების გაცემა არ ჩაითვლება ამომრჩევლის მოსყიდვად. ეს არის მთავრობის საქმიანობა და მისი კომპეტენცია.

– თუმცა მაინც ასოცირდება მასთან?

– კი, რა თქმა უნდა. ამიტომ ვამბობ, რომ მან ტაქტიკა შეცვალა, გასცემს სოციალურ დახმარებებს და ეცდება, ამით გავიდეს ფონს.

– იმუშავებს?

– ნაწილობრივ, შესაძლოა, იმუშაოს. შესაძლოა, „ოცნებამ“ თქვას, ბავშვებზე ვარიგებთ, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას ვერ იღებენო, მაგრამ ფაქტია, რომ იმ ბავშვებს ჰყავთ მშობლები და შესაძლებელია, აღნიშნულმა საკითხმა იმუშაოს.

როგორც 2018 წელს იმუშავა საბანკო ვალების ჩამოწერის პოლიტიკამ. შესაძლებელია, რომ ამ პროგრამებმაც იმუშაოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„სააკაშვილი „მაგარი ხუმრობის“ ხასიათზეა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, პარტია „ქართული ოცნების“ წევრი დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დათო, როგორ ხვდება „ოცნება“ სააკაშვილის გადაწყვეტილებას საქართველოში დაბრუნების თაობაზე? მომეჩვენა, რომ სააკაშვილი ძალიან რიხიანად საუბრობდა დაბრუნებაზე. თქვენ როგორ ფიქრობთ?

– მე მგონია, რომ სააკაშვილი „მაგარი ხუმრობის“ ხასიათზეა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ სააკაშვილი საქართველოში წამომსვლელი არ არის. მისი ჩამოსვლა გამორიცხულია. თავისი ვასალი ხომ გამოაგზავნა აჭარაში, ბატონი ვარშალომიძე.

– ვასალი?

– დიახ, ვასალია. სააკაშვილს ვარშალომიძე აჭარაში ვასალად ჰყავდა, ახლაც გამოუშვა. აჭარაში საზოგადოების განწყობა ვიცი და ეს დღეს სრულიად არასერიოზულია. სააკაშვილის აქ ჩამოსვლა, ბუნებრივია, გამოიწვევს მის დაპატიმრებას. ის არის მსჯავრდებული და მას მოუწევს საპატიმრო დაწესებულებაში გამწესება. ასე რომ, არა მგონია, მიშა ამ ნაბიჯზე წავიდეს.

– თუმცა თავის მიმართვაში სააკაშვილი უკრაინას ემშვიდობებოდა, მადლობა უკრაინას, კარგად მიმიღო და ახლა საქართველოში უნდა დავბრუნდეო.

– უკრაინას სააკაშვილისაგან მადლობა ნამდვილად ეკუთვნის, მიიღეს და იქ ამდენი ხანი გააჩერეს, მაგრამ, ვფიქრობ, მალე იქიდანაც გააგდებენ, სად, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, უკრაინაში რომ არ გააჩერებენ, ეჭვი არ მეპარება.

– ბატონო დათო, თვითონ „ოცნებაში“ რა ხდება? კორონამ ხომ არ შემოგიტიათ?

– პანდემიაა, სამწუხაროდ. კორონავირუსი

მსოფლიოში დაახლოებით 26 მილიონზე მეტ ადამიანს შეეყარა. „ქართული ოცნების“ ოფისში მუშაობა არ არის იმუნიტეტი და ინდულგენცია იმისა, რომ ადამიანს კორონავირუსი არ შეეყრება. მთავარია, იოლ ფორმებში ჰქონდეთ და რაც შეიძლება მალე გამოჯანმრთელდნენ.

– გიორგი ვაშაძე „ოცნების“ მისამართით დაპირებულ აუხდენელ ოცნებებზე საუბრობს.

– გიორგი ვაშაძეს პრემიერმინისტრობა უნდა. „ოცნებას“ კაცი არ მოუკლავს, დანარჩენი რა უნდა, ვერ გეტყვით. ეს ახალგაზრდა ადამიანი ინდივიდუალურ რეჟიმში რაღაცნაირ დასკვნებს აკეთებს. მან განაცხადა, ნაცმოძრაობა და ჩვენ ერთად ვართ კოალიციაში და ამ კოალიციის პრემიერმინისტრობის კანდიდატი მე ვიქნები და მორჩაო. მე მგონია, რომ ასეთი განცხადება სერიოზული არ არის.

ეს მათი პრობლემაა, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც ისინი აღიარებენ, რომ ნაცმოძრაობა მთავარი ოპოზიციური ძალაა (ვიმეორებ, ისინი აღიარებენ), ნაცმოძრაობა კი ამბობს, ჩვენ ჩვენი პრემიერმინისტრობის კანდიდატი გვეყოლება, უკაცრავად და ვაშაძეს არ ვცნობთო, ასეთ ვითარებაში გიორგი ვაშაძის განცხადებები ღიმილის მომგვრელია.

– ნაცმოძრაობა ამბობს, პრემიერმინისტრობის კანდიდატი სააკაშვილი უნდა იყოსო.

დავით ლორთქიფანიძე: „თუ ვაშაძეს კეთილისმსურველი ჰყავს, ურჩიოს, რომ აღმაშენებლის სახელის ასე პრონწიალს თავი დაანებოს. დაარქვას სტრატეგია „ვაშაძე“

– დიახ. ჩვენ რომელს დავუჯეროთ. მე გაძლევთ გარანტიას, რომ ვერც ერთი იქნება და ვერც – მეორე, მაგრამ, რომელი რომელს აჯობებს ბაქიაობაში, არ ვიცი.

– ვაშაძე „ოცნებას“ დასცინოდა, საზოგადოებას ოცნებები არ აუხდინაო. თვითონ ამბობს, ხალხს ოცნებას მე ავუხდენ, პრემიერი რომ გავხდებიო. გიორგი ვაშაძეს ოცნება არ აუხდება და პრემიერი ვერ გახდება?

– განსხვავება ის არის, რომ ჩვენი პასუხისმგებლობა კოლექტიურია. პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე გვაქვს აღებული. ძალიან ბევრი ოცნება ახლა სამწუხაროდ, არ ახდენილა. არა მგონია, მსოფლიოში რომელიმე ხელისუფლება არსებობდეს ისეთი, რომლის ყველა დაპირება ორ საარჩევნო ვადაში შესრულდა. ვერ ვხვდები, ვაშაძეს ინდივიდუალურად რა და ვინ სჯის, რომ ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომლებიც უტოპიის ზენიტია.

– ენდიაის თაოსნობით ოპოზიციურმა წარმონაქმნებმა ხელი მოაწერეს არჩევნებში ერთიან ბრძოლაზე. თქვენ რა, ერთიანობას ვერ ხედავთ?

– მათ ერთიანობას ვერ ვხედავ. ეს ყველაფერი ფიქციაა. ისინი ერთიანი ვერ იქნებიან. თბილისშიც კი მაჟორიტარ კანდიდატებზეც ვერ თანხმდებიან. ყველაფერი ქიმერასავითაა. ისინი რომ ვერ თანხმდებიან, „ქართული ოცნებისთვის“ პლუსია.

– ჯერ კიდევ არის დრო, რომ დღეს არსებული ოპოზიციური წარმონაქმნები და ნაცმოძრაობის გაშლილი რესურსი ანუ დაშლილი ნაცმოძრაობა ერთიან პოზიციაზე ვიხილოთ. ასეთ შემთხვევაში „ოცნებას“ საშიშროება არ ექმნება?

– არა. დასმულ კითხვაში თქვენ ორი ძალიან საინტერესო მინიშნება გააკეთეთ.

– რა?

– ის, რომ ისინი მართლაც წარმონაქმნები არიან და ის, რომ გაშლილი ნაცმოძრაობის ნაწილები არიან, ანუ ისინი გაიშალნენ, რეალურად კი ერთმანეთს არ დაშორებულან. ნაცმოძრაობიდან წასულებმა რაც უნდა დაირქვან, მაინც იმ ხელისუფლების წარმომადგენლები იქნებიან, რომელმაც ჩვენს ქვეყანას ბევრი პრობლემა მოახვია თავს.

– თქვენ სტრატეგიაზე საუბრობდით. სტრატეგია „აღმაშენებლის“ არ აქვთ?

– ვაშაძის მიერ სლოგანად „აღმაშენებლის“ აღება მეფეთმეფე დავითის შეურაცხყოფაა. ამიტომ ეს ყველაფერი არასერიოზულია. თუ ვაშაძეს საერთოდ კეთილისმსურველი ჰყავს, ურჩიოს, რომ აღმაშენებლის სახელის ასე პრონწიალს თავი დაანებოს, დაარქვას სტრატეგია „ვაშაძე“, რად უნდა აღმაშენებელი.

– ისე, სტრატეგია „აღმაშენებელი“ ძალიან აღმატებულად ჟღერს. თავდაპირველად, პრეზენტაციამდე, ინფორმაცია რომ გავრცელდა, არავინ იცოდა, ვინ იდგა „სტრატეგია აღმაშენებლის“ უკან და ზოგს ეგონა, სერიოზული ახალი ძალა გამოდიოდა ასპარეზზე, მაგრამ, როდესაც პრეზენტაციაზე ვაშაძე გამოჩნდა, ხელი ჩაიქნიეს.

– ბატონო დათო, სააკაშვილის ბოდიშზე უნდა გკითხოთ. სააკაშვილს თავისი მმართველობის ნიუანსები აწუხებს (თთელმა ქვეყანამ იცის, რაც იყო) და იმიტომ მოიხადა ბოდიში თუ ეს წინასაარჩევნო ხრიკია?

– საზოგადოების პატივისცემის მიუხედავად, უნდა გამოვიყენო საყოველთაოდ მიღებული არცთუ სასიამოვნო შეფასება. ბოდიში რომ წამალი იყოს, აფთიაქში იქნებოდაო, მაგრამ მე უფრო სხვანაირად ვიტყოდი, აფთიაქში წამალი კი არის, მაგრამ ყველა ავადმყოფობას არ შველის. ასე რომ, მიშამ რაც უნდა ბოდიში მოიხადოს, იმდენი ავნო და იმდენი დაავადება შეჰყარა ჩვენს სამშობლოს, ბოდიში ნამდვილად არ უშველის.

გერმანელი ექსპერტები საქართველოში რუსეთის გავლენის ზრდაზე საუბრობენ

ბრიტანული მედია: „საქართველოს, უკრაინის, ბელარუსის მიმართ ევროპამ ახალი პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს“

მარიამ მჭედლიშვილი

წინასაარჩევნო კამპანია საქართველოში ურთულეს საშინაო და საგარეო ფონზე მიმდინარეობს. საქართველოს ხელისუფლების კრიტიკა კი დასავლეთიდან გრძელდება.

ამჯერად საქართველოს ხელისუფლებას ბოლოდროინდელი ქმედებები გერმანელმა ექსპერტებმა დაუწუნეს. მათი დასკვნით, საქართველო ავიწროებს ინვესტორებს, რაც მას დასავლეთს აშორებს.

მათი სიტყვებით, იმ დროს, როცა ევროკავშირის ინტერესი საქართველოს მიმართ შენელებულია, რუსეთი ცდილობს საკუთარი გავლენის გაძლიერებას ამ ქვეყანაში. ამისათვის მოსკოვი იყენებს კორონავირუსით გამოწვეულ კრიზისს და იმას, რომ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება ბელარუსისკენ არის მიპყრობილი. მოსკოვი ახდენს საზღვრების გადმოწევას იმ პროვინციებში, რომლებიც დღეს თბილისს არ ემორჩილებიან.

წინა წლებში საქართველო განიხილებოდა ნატოში შესვლის კანდიდატად. ამ ქვეყანამ მიაღწია ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ პროგრესს. საქართველო იქცეოდა ისე, როგორც მისგან დასავლეთი მოელოდა. დღეს სიძნელეებია. საქართველოს, როგორც სამაგალითო ქვეყნის რეპუტაცია შეილახა. ეს მოხდა საქართველოს ხელისუფლების ძნელად გასაგები გადაწყვეტილებების გამო. საქართველომ დაარღვია ინვესტორებთან გაფორმებული შეთანხმებები. კომუნიკაციების სფეროში მიღებული ერთი გადაწყვეტილებით კი მთავრობას შეუძლია, მიავლინოს საკუთარი მენეჯერი კერძო კომპანიებში.

ავტორების შეფასებით, საქართველო სულ უფრო ემსგავსება პოტიომკინის სოფელს სასიცოცხლოდ აუცილებელი უცხოელი ინვესტორებისათვის.

ექსპერტები ასკვნიან, რომ საქართველოს ორი გამოსავალი აქვს – ან ის ხდება იოლი ნადავლი რუსეთისათვის, ან ხელს უწყობს საერთაშორისო ინვესტორების შემოსვლას ქვეყანაში. ინვესტიციები აუცილებელია ციფრულ და ეკო-

ნომიკის სფეროებში. ამ ინვესტიციებით საქართველო გახდება ნაკლებად დამოკიდებული კრემლზე.

გერმანელი ავტორების აზრით, საქართველო სტრატეგიულად აუცილებელია ევროპისათვის. ამის ერთ-ერთი მიზეზია რუსეთის გავლენის შემცირება შავი ზღვის რეგიონზე და კავკასიის მიბმა ევროპაზე.

საქართველოს, უკრაინის, ბელარუსისა და მოლდოვის მიმართ ევროპის ახალი სტრატეგიის შემუშავებაზე საუბრობს „ფაინენშელ თაიმსი“.

მისი აზრით, დასაცავია აღმოსავლეთ ევროპის ეს ქვეყნები, რომლებიც არ არიან დაცული ევროკავშირისა და ნატოს წევრობით.

ექსპერტების თქმით, პოლიტიკა უნდა შეიცვალოს და „გაწვდილი ხელის“ ნაცვლად უნდა შემოვიდეს „დახმარების ხელის“ პრინციპი. ევროპამ უნდა შეადგინოს აღმოსავლეთ ევროპის ამ ქვეყნების ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების რეალური გეგმები.

ამასთან, ევროპამ უარი უნდა თქვას გადატვირთვის პოლიტიკაზე რუსეთთან, სადაც პუტინის ავტორიტარული და კორუმპირებული რეჟიმია.

ავტორების თქმით, ევროპიდან საჭიროა საქართველოსა და მოლდოვაში მშვიდობიანი პროცესების გამრავალფეროვნება. უკრაინის დონბასის პრობლემა კი არ უნდა განიხილებოდეს ყირიმისაგან მოწყვეტილად.

დიდი ალბათობით, საქართველოში ევროპა გააქტიურდება, თუმცა მანამდე კატაკლიზმებია მოსალოდნელი.

„ოცნებამ“ ცადა, ფულით მოვესყიდეთ. არ გავიყიდებით!“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დაუშვებს. რაც გვაძლევს იმის იმედის საფუძველს, რომ შესაძლებელია, ასე პირწმინდად ვერ მოიგოს ივანიშვილმა ეს არჩევნები.

– გამოდის ინფორმაციები, რომ ძალიან უჭირს „ოცნებას“ სიის ჩამოყალიბება, მხოლოდ პირველი ოცეული ჰყავთ და იმის იქით ვერ მიდიან. არ ჰყავს „ოცნებას“ ახალი სახეები თუ რა პრობლემის წინაშე დგას?

– ივანიშვილს აღარ ჰყავს სახეები. არც 2012-ში ჰყავდა, ოპოზიციური სპექტრი მთლიანად იყიდა და მერე ვინ როგორ გაუშვა და სად მიმოფანტა ეს განადგურებული და დაშლილი პარტიები, კი ვხედავთ, რა მდგომარეობაშია პარტიების უმრავლესობა, რომლებიც მაშინ იყვნენ ბიძინა ივანიშვილთან. ფაქტია, რომ ადამიანებს აღარ უნდათ, „ქართულ ოცნებასთან“ ასოცირდებოდნენ. მხოლოდ დაბალი რანგის პოლიტიკოსების პოვნას თუ მოახერხებს და აღარ სიამოვნებს ამ ადამიანების ხმამაღლა და ტაშ-ფანდურით წარდგენა.

– თავად საერთოდ ჩამოშორებულია ამ პროცესს, აქტიურ კამპანიაში არ მონაწილეობს.

– დიახ, ჩამოშორებულია, იმიტომ რომ ძალიან მშიშარაა ბიძინა ივანიშვილი, ახლა განსაკუთრებით „ქართული ოცნების“ ოფისშიც რომ აღმოჩნდა კორონა. ამ ფონზე ბიძინა ივანიშვილი მათთან პირდაპირ შეხვედრებს აუცილებლად მოერიდება.

– იმაზეც საუბრობენ, რომ ივანიშვილი მიზანმიმართულად აღარ ცდილობს „ქართული ოცნების“ გაძლიერებას, თვითდინებაზე ჰყავს მიშვებული და არჩევნების შემდეგ ფსონს ძლიერზე დადებს. უშვებთ იმას, რომ სრულიად სხვა კონფიგურაცია მივიღოთ?

– არა მგონია, ასე იყოს, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილმა მთელი ამ 8 წლის განმავლობაში შექმნა სისტემა, რომელიც მთლიანად მასზეა ჩამოკიდებული და მთლიანად მასზე ჩამოკიდება ნიშნავს მთლიანად მისი ქონების ამ პროცესზე ჩამოკიდებას. ის ასე ხედავს შექმნილ სიტუაციას. შესაბამისად, მისთვის ძალაუფლების დაკარგვა ნიშნავს ყველაფრის დაკარგვას. მე ვფიქრობ, იმ მძიმე სოციალური ფონის პირობებში, რომელიც არის ქვეყანაში, ეკონომიკური ძალიან მძაფრი ვარდნის პროგნოზირება უკვე აღარ არის რთული. უნდა ვთქვათ ისიც, რომ ზამთარში კიდევ უფრო დამძიმდება სოციალური ფონი და „ქართულ ოცნებას“ ნამდვილად არა აქვს ის რესურსი, რომ ქვეყანა სწრაფად გამოიყვანოს ამ კრიზისიდან. „ოცნება“ დარჩება სრულიად მარტო, ყველანაირი დახმარებისა და პარტნიორების გარეშე, რაც ჩვენს ქვეყანაში გამოიწვევს სოციალურ აფეთქებას. ამას ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება კი არა ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გაუძლებს, ვინც არ უნდა იყოს. ამას კარგად ხედავს ივანიშვილი, ის სულელი არ არის. მე რომ მის ადგილას ვიყო, ნამდვილად არ მოვისურვებდი ამ არჩევნების მოგებას. ხელისუფლება რომელიც მოიგებს ამ არჩევნებს, პირდაპირ ხდება პასუხისმგებელი იმ მოვლენებზე, რომლებიც იქნება ჩვენს ქვეყანაში უახლოესი წლების განმავლობაში. ეს მოვლენები კი ძალიან, ძალიან მძიმე იქნება.

– რა არჩევანი აქვს ივანიშვილს?

– ორი ვარიანტია, თუ გააკეთებს ფსონს, რომ წავიდეს დიქტატურისკენ და ამას მოწმობს უკვე ის ჩუმ-ჩუმად გატარებული ცვლილებები, რომლებიც ნელ-ნელა ამოქმედდა. ისეთი რეგულაციები ამოქმედდა, რომ მართლა ჩრდილოეთ კორეას ვემსგავსებით. ორი ვარიანტია, ან იწყებს დიქტატურას და რჩება დიქტატორად, ან, უბრალოდ, ინერციით მიუშვებს მოვლენებს, აიღებს ხელშეუხებლობის გარანტიებს და წავა მშვიდად. ამ დროს კი ოპოზიციას დამშვიდების, ფეხის ფეხზე გადადებისა და ერთმანეთის ჭამის დრო არ აქვს და, იმედია, ამას მიხვდება.

– ახალი სახეების სიმწირეზე ვსაუბრობდით და ძველ სახეებზე ოპოზიციამ ძალიან ბევრი იფიქრა და ბოლოს უარი თქვაო. ასეა?

– როგორც იცით, თბილისში იყო დარჩენილი ორი ოლქი, დიდუბე-ჩუღურეთი და საბურთალო და მე მართლა მივიღე ეს შემოთავაზება. ეს იყო ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის კვოტა, მე მითმობდა ამ კვოტას, სამოქალაქო საზოგადოების სახელით უნდა ვყოფილიყავი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, თუმცა მე, როგორც სამოქალაქო საზოგადოებიდან წამოსულმა ერთმა რიგითმა ადამიანმა, რომლის უკანაც დგას მოძრაობა „სირცხვილია“, ჩვენ ჩვენი დღის წესრიგი გვაქვს, რომელიც ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. ამიტომ მე მომიწია მთელი ამ გეგმების გააზრება, გადახედვა და უარი ვთქვი ამ შემოთავაზებაზე. პოლიტიკური დღის წესრიგი 2020 წლისთვის ჩვენ არ გვქონდა დაგეგმილი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვითმმართველობის არჩევნებზე ჩვენი განაცხადი არ გვექნება.

– ასევე შოთა დიღმელაშვილზე საუბრობდნენ აქტიურად, რომ პოლიტიკაში მოდიოდა. „ფეიკებიც“ კი გავრცელდა, რომ „ოცნების“ ოცეულშია.

– კი, ეს ფეიკები იყო. ფეიკები მუდმივად ვრცელდება. ეს უკვე აღარც ჩვენ გვიკვირს და აღარც თქვენ. ისევე, როგორც შოთამ, მიშა მშვილდაძემ და მეც უარი ვთქვით წელს არჩევნებში მონაწილეობაზე.

– შოთასთანაც იყო ღია შეთავაზება?

– როგორც მე ვიცი ასე პირდაპირი შეთავაზება მასთან არ ყოფილა, თუმცა ბევრი კულუარული ინფორმაცია იყო სხვადასხვა პარტიიდან. რომ არ მოგატყუოთ, ბევრი შემოთავაზება მივიღეთ. უამრავი პარტიისგან გვქონდა შემოთავაზება, რომ ვიქნებოდით სიებში, ტოპადგილებზე, იყო დამეგობრების მცდელობები. მართლა პატივისცემით მივიღეთ ეს შემოთავაზებები, თუმცა ყველა მათგანზე ვთქვით უარი.

– ხელისუფლების მხრიდანაც ხომ არ იყო შემოთავაზებები?

– როგორ არ იყო, კი, იყო. გვერდულად რომ გაპარებენ, გიგზავნიან ტიპებს და კარგ სამსახურებს გთავაზობენ მათდამი დაქვემდებარებულ ფირმებში, რომ, ერთი მხრივ, დიდი ხელფასი მოგცენ და, მეორე მხრივ, წინასაარჩევნოდ გაგაჩუმონ. იმის ილუზია არ აქვთ, რომ რომელიმე ჩვენგანი „ქართულ ოცნებაში“ წავა და მათ თამაშს ითამაშებს. ამას შეეგუვნენ. იყო მცდელობები, ამ პანდემიის დროს, დიდი გაჭირვების ჟამს, იცით, რომ ყველას გაუჭირდა და მათ შორის ჩვენც, მაღალი ხელფასებით მოვესყიდეთ, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ. ჩვენ ჩვენს არჩეულ გზას არ გადავუხვევთ, არც გავიყიდებით!

სევა შამოიანი: „შალვა გოგოლაძემ ბენზინი ჭიშკართან გადამასხა და ცეცხლი მომიკიდა“

29 ივნისს თბილისში ახალგაზრდა მამაკაცმა შალვა გოგოლაძემ 24 წლის ვიზაჟისტის სევა შამოიანის დაწვა ცადა. გოგონა საავადმყოფოდან 31 აგვისტოს ხელწერილის საფუძველზე გაწერეს და ახლა რეაბილიტაციის კურსს ბაკურიანში გადის.

„პრაიმტაიმი“ სევას დაუკავშირდა. გოგონამ ჯანმრთელობის მდგომარეობის, ინციდენტის ღამისა და ე.წ. შეყვარებულის შესახებ დეტალურად ისაუბრა.

– სევა, როგორია ახლა თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა?

– ბოლომდე არ ვარ კარგად, ყველაზე მთავარი ეტაპი – რეაბილიტაცია დაიწყო. ჯერ ვერ დავდივარ, მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯს ვდგამ სხვების დახმარებით. გუშინ ვიმგზავრე და ტკივილები მაქვს, ვწევარ.

ვაგრძელებ შეხვევებს, უბრალოდ, კლინიკაში ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა, ექთანს ბაკურიანში ჩამოვიყვანთ.

დაახლოებით ორი თვე ვიყავი კლინიკაში, ერთი თვე რეანიმაციაში გავატარე, შემდეგ პალატაში გადამიყვანეს. ხელწერილით გამოვედი საავადმყოფოდან. 17 ათასი ლარი დამრჩა გადასახდელი.

– რა ურთიერთობა გქონდათ ბიჭთან, რომელმაც ბენზინი გადაგასხათ?

– ეს ბიჭი ჩემი შეყვარებული არ იყო. საერთოდ გაწყვეტილი მქონდა მასთან ურთიერთობა. ამ შემთხვევამდე ათი დღით ადრე გამოჩნდა, ჯერ მომიკითხა, ადამიანურად ვუპასუხე, შეხვედრა მთხოვა, ვუთხარი, არ მცალია, ზღვაზე მივდივარ გოგოებთან ერთად-მეთქი, ეს არ მოეწონა და აქედან დაიწყო ყველაფერი.

შეყვარებულები არასდროს ვყოფილვართ, რაღაც ურთიერთობა გვქონდა, სანამ გავიგებდი, როგორი ადამიანია.

– რა მოხდა იმ ღამეს, როცა ბენზინი გადაგასხათ, გახსოვთ?

– ჩემი და იყო სახლში. ამ ბიჭმა მომიკაკუნა და გარეთ გავედი. ჩემმა დამ მითხრა: ერთ საათში თუ არ მოხვალ დედას დავურეკავო.

მომატყუა, მანქანაში ბენზინი გამითავდა ვიყიდოთო და ჩემი ფეხით გავყევი ბენზინის საყიდლად.

წერეთელზე ჩავედით, ხუთლიტრიანი ბალონით იყიდა ბენზინი და ჭიშკართან როცა მოვედით, გადამასხა.

სანამ ბენზინს გადამასხამდა, ჯერ დამარტყა. ვუთხარი, არაკაცი ხარ, როგორ იქცევიმეთქი და, როგორც კი შევედი ეზოში, ცეცხლი მომიკიდა. ყველაფერი მახსოვს.

ჩემმა დამ სასწრაფოდ შემიყვანა სახლში, მეგონა, ავფეთქდებოდით, თურმე მეზობლები გამოცვივდნენ და დაიწყეს ცეცხლის ჩაქრობა.

ვკიოდით, განყოფილებასთან ვცხოვრობთ, კივილი გაიგონა პოლიციამ და სასწრაფოდ მოვიდა ჩვენთან.

– რას საქმიანობდა ეს ბიჭი, რომელმაც თქვენი დაწვა ცადა?

– ეს ბიჭი ჩემთვის მკვლელია, არაფერს წარმოადგენდა. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ადამიანს ადამიანის ასე გამეტება შეუძლია. რომ მეუბნებოდა, დაგწვავო, არ მჯეროდა.

„ყველაზე გამეჯებით გოგო მირტყამდა“

ივიკო ფრუიძე თბილისის ბარში წიხლქვეშ გაიგდეს

თბილისში, ერთ -ერთ ბარში, სტუმარი ცემეს. დაცვის ხუთი წევრი და ერთი თანამშრომელი ივიკო ფრუიძეს ფიზიკურად მას შემდეგ გაუსწორდა, რაც მან ანგარიშის რაოდენობა გააპროტესტა.

ფრუიძე პარასკევს საღამოს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციასა და ფოტომასალას საკუთარ ფეისბუქგვერდზე ავრცელებს.

„მოვექეცი მათ ალყაში და დამიწყეს ცემა. რა თქმა უნდა, გავუწიე წინააღმდეგობა, მაგრამ რამდენს გავუძლებდი?! ჩემზე ორჯერ დიდები იყვნენ... წამაქციეს, მირტყამდნენ უმოწყალოდ, არ მაძლევდნენ ფეხზე წამოდგომის საშუალებას. ყოველ წამს მხვდებოდა უამრავი მუშტი თუ წიხლი სხვადასხვა მიმართულებიდან. მათ შორის განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა ბარის ერთ-ერთი თანამშრომელი გოგო, რომელიც დაცვის წევრების მიერ დაგდებულს მირტყამდა სკამს. ამ გოგოსთან დავაფიქსირე პირველი ლოგიკური პროტესტი არარეალურ ანგარიშზე. ამ ყველაფერს შეესწრო ჩემი ძმაკაცი, რომელიც დამეხმარა ჩასაფრებიდან გამოღწევაში. თუმცა ისტორია გრძელდება:

ამოვედი ბარიდან ნაცემი, აღშფოთებული, ემოციურად ძალიან რთულ მდგომარეობაში და, რა თქმა უნდა, დავრეკე პატრულში. ეკიპაჟის მოსვლამდე მოხდა მე და დაცვას შორის მორიგი შელაპარაკება. დავადანაშაულე ისინი ნაძირალა სისტემის სამსახურში და დანაშაულებრივ ქმედებაში. ამ დროს ერთერთი დაცვის წევრი გვერდიდან მირტყამს სახეში, სანამ იმას შევუტრიალდი, მეორე მირტყამს მეორე გვერდიდან და ა.შ. მოკლედ, კვლავ დამაგდეს და მირტყამდნენ უმოწყალოდ სახესა და თავში ყველა მხრიდან.

მირტყამდნენ ისეთი გამეტებით, რომ სახეზე აფარებული ხელი მომტყდა. გადამეფარა ჩემი ძმაკაცი, შველას ცდილობდა სტუმარი მეგობარიც, რომელთაც რამოდენიმე დარტყმისგან მიხსნეს. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ ან გადავრჩებოდი ან – არა. რაღაც მომენტში ვიფიქრე, რომ გადარჩენის შანსი თითქმის აღარ მქონდა, რადგან მირტყამდნენ კუნთის უზარმაზარი მასები, იყვნენ ბევრნი და სრულიად დაუნდობლები. როგორღაც მიხსნეს მეგობრებმა მათგან და ამასობაში პატრულიც მოვიდა.

დაცვის 5 წევრიდან და ერთი ბარის პერსონალიდან 2 დაცვის წევრი დარჩა ადგილზე (დანარჩენი 4 მოძალადე გადაიმალა). დარჩენილებს, რა თქმა უნდა, ხელი დავადე, როგორც ამ ბოროტების თანაავტორებს და, იმედი მაქვს, რომ წარდგებიან მართლმსაჯულების წინაშე“, – წერს ივიკო ფრუიძე.

მან კომენტარი მედიაშიც გააკეთა.

– ბარში შევუკვეთეთ 5 კოქტეილი და რეალურად მოგვივიდა 25 კოქტეილზე ანგარიში, რაც, რა თქმა უნდა, გავაპროტესტე, მოვითხოვე კამერების ამოღება და ამის შემდეგ ბარიდან გარეთ გამოსულს მეძახის დაცვა. ჩავდივარ ბარში და მხვდება დაცვის 6 წევრისა და ადმინისტრატორის ჩასაფრება, დამიწყეს ცემა, მირტყამდნენ უმოწყალოდ, მეგობრების დახმარებით გამოვაღწიე, გამოვიძახე პატრული და, სანამ პატრული მოვიდოდა, კიდევ გაგრძელდა გარეთ, შუა პეკინზე ჩემი ცემა. მაქვს ხელის მოტეხილობა, ტვინის შერყევა, დაბეჟილობა, – უთხრა ივიკო ფრუიძემ „რუსთავი 2“-ს.

მომხდარზე გამოძიება 126-ე, ძალადობის მუხლით დაიწყო.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაბა მესტიასა და ლენჯერში საკარანტინო შეზღუდვებზე კონტროლი მოხსნა

2 სექტემბრიდან უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, დაბა მესტიასა და ლენჯერში საკარანტინო შეზღუდვები გაუქმდა. შესაბამისად, პოლიციის მიერ მოწყობილი საკონტროლო-გამშვები პუნქტები მოხსნილია და მოქალაქეებს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ერთეულში გადაადგილება შეუფერხებლად შეუძლიათ.

პოლიცია სვანეთის რეგიონში საკარანტინო შეზღუდვებს 22 დღის განმავლობაში, უწყვეტ რეჟიმში აკონტროლებდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად ინტენსიურ რეჟიმში პატრულირებდნენ. ამასთანავე, პოლიციამ უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალური დაცვით უზრუნველყო სვანეთიდან მოქალაქეთა ესკორტირება სხვადასხვა რეგიონში მდებარე საკარანტინო სივრცეების მიმართულებით.

მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის გამო, დაბა მესტიასა და ლენჯერში 10 აგვისტოდან შესვლა-გამოსვლა შეზღუდული იყო.

გორში ნ.დ.-მ ცოლი ცემა და მოკვლით დაემუქრა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ნ.დ. ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი ძალადობისა და მუქარის ბრალდებით გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეში დააკავეს.

დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა მეუღლეს – 1983 წელს დაბადებულ ლ.ხ.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილითა და 11-პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახში ძალადობასა და ოჯახის წევრის მიმართ მუქარას გულისხმობს.

„ნიღაბი ეკეთა და საკანცელარიო დანა ეჭირა“

ქუთაისში „ფემილიდან“ 1.000 ლარი წაიღეს

ქუთაისში სუპერმარკეტ „ფემილის“ ფილიალი დააყაჩაღეს.

მარკეტის თანამშრომლების ინფორმაციით, 1 სექტემბერს, გვიან ღამით, ნიღბიანმა პირმა საკანცელარიო დანის მუქარით თანხა მოითხოვა. მათივე თქმით, დაუდგენელმა პირმა ათას ლარამდე თანხის წაღება მოახერხა.

შემთხვევის დროს მარკეტში სამი თანამშრომელი იყო. მათ დაცვა გამოიძახეს, თუმცა მძარცველმა გაქცევა მოახერხა.

ადგილზე იმყოფებოდნენ სამართალდამცველები. მომხდარზე გამოძიება დაწყებულია.

დააკავეს 30.000 ლარის აღების ფაქტზე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი საგადასახადო დოკუმენტის ჯგუფურად დამზადება-გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მათი მართვის ქვეშ მყოფი კომპანიის სახელით, მიმდინარე წლის აგვისტოში დაამზადეს და გაასაღეს 995.000 ლარის ღირებულების მომსახურების ფიქტიურად გაწევის ამსახველი ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურა, რის სანაცვლოდაც მოითხოვეს საგადასახადო დოკუმენტში დაფიქსირებული თანხის 30% – 298.500 ლარი.

ბრალდებულები დაკავებულ იქნენ მოთხოვნილი თანხის ნაწილის 30.000 ლარის აღების ფაქტზე. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

პატრულ-ინსპექტორ ირაკლი ცომაიას პატიმრობა შეეფარდა

ლისის გზაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალდებულ პატრულ– ინსპექტორ ირაკლი ცომაიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ არსენ კალატოზიშვილმა გამოაცხადა.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარე დაკავებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა, რასაც დაცვის მხარე დაეთანხმა. სიტყვით არ უსარგებლია თავად ბრალდებულს. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ადვოკატს ეთანხმებოდა.

დაცვის მხარის განცხადებით, მოზარდის გარდაცვალების ფაქტი ფარავს ყველაფერს, რომ მათ რაიმე საშეღავათო პირობა მოითხოვონ. ადვოკატის თქმითვე, ვერც ერთი სასჯელი ვერ ეთანადება იმას, რაც ამ ავტოსაგზაო შემთხვევას მოჰყვა. ყავლაშვილის თქმითვე, ირაკლი ცომაია წარდგენილ ბრალდებაში თავს სრულად ცნობს დამნაშავედ და დაცვის მხარეს ალტერნატიული შემოთავაზება არ აქვს.

შემთხვევა 30 აგვისტოს, დაახლოებით 23:00 საათზე მოხდა, რა დროსაც ლისის გზაზე მოძრავი საპატრულო პოლიციის ავტომანქანა ქვეითად მოსიარულეს, 2008 წელს დაბადებულ მ.გ.-ს შეეჯახა, რომელიც ჟვანიას სახელობის საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა. პროკურატურამ ირაკლი ცომაიას ბრალი საგზაო მოძრაობის წესების უსაფრთხოების დარღვევისთვის წარუდგინა.

„თბილისი პრაიდის“ ოფისის აივანზე დროშა საღებავებიანი კვერცხებით დასვარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია „თბილისი პრაიდის“ ოფისზე განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ გავრცელებულ ფაქტებთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული რეაგირების თაობაზე.

1. 2020 წლის 26 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს მეშვიდე სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, თბილისში, გ.ახვლედიანის ქუჩა 17-ში მდებარე „თბილისი პრაიდის“ ოფისიდან დროშის ქურდობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, გამოიკითხნენ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირები.

გამოძიება გრძელდება.

2. 2020 წლის 7 ივნისს თბილისში, გ. ახვლედიანის ქუჩა №17-ში მდებარე „თბილისი პრაიდის“ ოფისის აივანზე განთავსებული დროშისა და აღნიშნული ოფისის კედლის შესაძლო შავი საღებავითა და კვერცხებით დასვრის ფაქტზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩატარებული გადაუდებელი ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დადგინდა სავარაუდო სამართალდამრღვევთა ვინაობა, რომელთა მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილი მასალების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ოთხი პირი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის, რომელთაგან სამი პირი გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა, ხოლო ერთ პირს დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი – ჯარიმა, 500 ლარის ოდენობით.

3. 2020 წლის 21-22 ივლისს აღნიშნულ ოფისზე კვლავ მოხდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება, რაც გამოიხატა შემდეგში: საღებავებიანი კვერცხებით დასვარეს „თბილისი პრაიდის“ ოფისის აივანზე არსებული დროშა და შენობის სადარბაზოში ისროლეს კვერცხები. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩატარებული გადაუდებელი ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დადგინდა სავარაუდო სამართალდამრღვევთა ვინაობა და მათ მიმართ შედგენილ იქნა სამართალდარღვევის ოქმები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული სამართალწარმოების მასალები გადაგზავნილია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

4. აღნიშნულ ოფისზე კანონსაწინააღმდეგო ქმედება განხორციელდა ასევე, 2020 წლის 3 აგვისტოს, რა დროსაც „თბილისი პრაიდის“ ოფისის აივანზე არსებული დროშა საღებავებიანი კვერცხებით დასვარეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩატარებული გადაუდებელი ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დადგინდა სავარაუდო სამართალდამრღვევის ვინაობა და მის მიმართ შედგენილ იქნა სამართალდარღვევის ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული სამართალწარმოების მასალები გადაგზავნილია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

გარდა ზემოთ აღნიშნულ ფაქტებზე რეაგირებისა, „თბილისი პრაიდის“ ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის პროტესტის გამოხატვის მიზნით მოქალაქეების შეკრებისას პოლიციის თანამშრომლების მხრიდან გაძლიერებულად ხორციელდება მართლწესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა პატრულირების გზით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებს უშუალო და რეგულარული კომუნიკაცია აქვთ „თბილისი პრაიდის“ ოფისის წარმომადგენლებთან და აწვდიან ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული რეაგირების და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა და მსხვერპლზე ორიენტირებული გამოძიების უზრუნველყოფა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება სწორედ დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე მონიტორინგის განხორციელებაა“.

სოფიაში პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის დაპირისპირება მოხდა

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ათასობით მოქალაქემ პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართა და პრემიერ-მინისტრ ბოიკო ბორისოვის გადადგომა მოითხოვა.

აქციაზე დემონსტრანტებსა და პოლიციელებს შორის დაპირისპირება მოხდა, რომლის დროსაც სამართალდამცველებმა ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს და რამდენიმე ადამიანი დაიკავეს.

აქციის მონაწილეები სკანდირებდნენ: „გადადექი“ და პოლიციის კორდონის გარღვევას რამდენიმეჯერ შეეცადნენ.

აქციის პარალელურად პარლამენტში საზაფხულო შესვენების შემდეგ პირველი სხდომა მიმდინარეობდა. აქციის მონაწილეები ბოიკო ბორისოვს ადანაშაულებენ, რომ ვერ უმკლავდება კორუფციას, რაც ძირს უთხრის კანონის უზენაესობას და სარგებელს აძლევს ოლიგარქებს.

გერმანიის მთავრობა: „ნავალნი ნოვიჩოკით მოწამლეს“

რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ალექსანდრე ნავალნი ნერვული აგენტით, „ნოვიჩოკით“ არის მოწამლული.

ამის შესახებ გერმანიის ხელისუფლებაში აცხადებენ.

ტოქსიკოლოგიურმა ექსპერტიზამ ცალსახად დაადასტურა, რომ ქიმიური ნერვული აგენტი „ნოვიჩოკის“ ჯგუფისაა.

კომაში მყოფი ნავალნი ბერლინში სამკურნალოდ რუსეთიდან გადაიყვანეს.

ოპოზიციონერის გუნდის წევრები ამბობენ, რომ სერგეი ნავალნი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის დავალებით მოწამლეს.

„ნოვიჩოკი“ არის ნერვული აგენტი, რომლითაც 2018 წელს ბრიტანეთში რუსეთის სამხედრო დაზვერვის ყოფილი ოფიცერი სერგეი სკრიპალი და მისი ქალიშვილი იულია მოწამლეს.

რუსეთი ბელარუსს ვალებს ჩამოაწერს

რუსეთი ბელარუსს იმ უზარმაზარ ვალს ჩამოაწერს, რომელიც ამ რესპუბლიკას მოსკოვის მიმართ დაუგროვდა.

შესაბამისი განცხადება რუსეთის ფინანსთა მინისტრმა სილუანოვმა გააკეთა.

მან თქვა, რომ სამინისტროების დონეზე მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

– ყველაფერი კარგად იქნება, – აცხადებს სილუანოვი.

ბელარუსის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ აღნიშნა, რომ საუბარია 1 მილიარდ დოლარზე, რომელსაც რუსები ბელარუსს ჩამოაჭრიან.

– პუტინთან შეთანხმებას უკვე მივაღწიე, – ამბობს ლუკაშენკო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

წყლიდან პლაჟზე ამოსულმა გველმა დამსვენებლები შეაშინა

დიდი შხამიანი სახიფათო გველი პლაჟთან მიცურდა და იქ მყოფი დამსვენებლები შეაშინა.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დუბანის პლაჟზე მყოფმა დამსვენებლებმა ნაპირთან ქვეწარმავალი შენიშნეს და გველებზე მონადირე საგანგებო სამსახურში დარეკეს. ადგილზე მისულმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ეს 2,5 მეტრი სიგრძის შავი მამბა იყო. მათი თქმით, რეპტილიის დაჭერა არ გასძნელებიათ, ვინაიდან ის არაქათგამოცლილი იყო.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ გველი პლაჟზე წყლის მოქცევამ გამოაგდო.

– შავი მამბები იშვიათად გვხვდებიან სანაპიროზე. ისინი უპირატესად ზღვის ფსკერზე მცენარეებს შორის ბინადრობენ, – განაცხადა ერთ-ერთმა გველებზე მონადირემ გააკეთა.

მათ ასევე მოსახლეობას მოუწოდეს, რომ თავი შორს დაიჭირონ შავი მამბასგან, ვინაიდან მისი კბენა შესაძლოა საბედისწერო აღმოჩნდეს ადამიანისთვის. დაჭერილი ქვეწარმავალი ვეტერინარულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, იქ მას მოუვლიან და შემდეგ უკანვე, ბუნებაში დააბრუნებენ.

მამაკაცის თმების სიგრძემ 80 წელში ხუთ მეტრს მიაღწია

ვიეტნამელი მამაკაცი დაახლოებით 80 წლის განმავლობაში არ იჭრიდა თმებს და მათმა სიგრძემ ხუთ მეტრს მიაღწია.

92 წლის გუენ ვან ჩინმა თმების შეჭრა 12 წლის ასაკიდან შეწყვიტა. სკოლაში სწავლის დროს მას შავი და სქელი თმები ჰქონდა. მამაკაცი დარწმუნებულია, რომ ხელუხლებელი უნდა დარჩეს ის, რაც მას დაბადებიდან თან დაჰყვა. ის თვლის, რომ თმები პირდაპირ უკავშირდება მისი სიცოცხლის ხანგრძლივობას.

– თუ თმებს შევიჭრი, მოვკვდები. ჩემს ვარცხნილობაში არაფერს ვცვლი, თმებს არც კი ვივარცხნი, – განაცხადა ვიეტნამელმა.

ჩინი თმებს უვლის, მათ ნაჭერს აფარებს, სუფთად ინახავს და მათ ჯანმრთელობას უფრთხილდება. მამაკაცი დარწმუნებულია, რომ თმების გაზრდა მისი მოწოდებაა.

– ვთვლი, რომ მე ღვთიურმა ძალამ შემარჩია. მან დამასაჩუქრა, – განაცხადა ჩინმა, რომელსაც ცხრა მაგიური ძალის არსებობა სწამს და შვიდ ღმერთს ეთაყვანება.

ჩინს თმების მოვლაში მისი უმცროსი, 62 წლის შვილი ლუომი ეხმარება, რომელსაც სწამს, რომ მამის თმები სიწმინდეა და მათი შეჭრა არ შეიძლება.

მოხუცებმა მაიმუნებისგან თავდაცვის რაზმი ჩამოაყალიბეს

იაპონიის ქალაქ ფუკუის მცხოვრებმა სამმა მოხუცმა მაიმუნებისგან თავის დასაცავად სპეციალური რაზმი შექმნეს.

74 წლის მასაკო ისიმურა, 68 წლის ტაცუკო კინოსიტა და 67 წლის მიუიკი ნი ბაღებში პნევმატური იარაღით და მჭრელი სასოფლო სამეურნეო იარაღით პატრულირებენ. როდესაც ბაღში მაკაკები გამოჩნდებიან, ისინი მათ სამი მხრიდან ალყაში აქცევენ, მაშხალებს ესვრიან და მანამდე დევნიან, სანამ ისინი იქაურობას არ დატოვებენ.

მაიმუნების შემოსევასთან ბრძოლაში საფრთხობელები და დამცავი ბადეები უსარგებლო გამოდგა. ამიტომ ისიმურა, კინოსიტა და ნი იძულებულნი გახდნენ, ბაღების დაცვის საქმისთვის თავად მოეკიდათ ხელი. ისინი ამტკიცებენ, რომ მათი მისია „ძვირფასი ბოსტნეულის დაცვაა, რომელიც სოფლის მაცხოვრებლებს მოჰყავთ“.

აღსანიშნავია, რომ მაიმუნები ადგილობრივების ბაღებს 2015 წლიდან მოყოლებული არბევენ. თავდაპირველად ფუკუოში ორ ასეულამდე მაკაკა ბინადრობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა, ხოლო მათი შემოსევები ბაღებში, სულ უფრო გამანადგურებელი ხდებოდა.

მეტეორიტების წვიმამ ადგილობრივები გაამდიდრა

მეტეორიტების ძვირფასი ნამტვრევები თავს დაატყდა ბრაზილიურ ქალაქს, ადგილობრივები გაამდიდრა და ათასობით ტურისტი და მკვლევარი მიიზიდა.

ბრაზილიის ქალაქ სანტა-ფილომენას მეტეორიტების წვიმა 19 აგვისტოს დაატყდა თავს. 4,6 მილიონი წლის ასაკის კოსმოსური ლოდებით ჯერ ცა გადაიჭედა, შემდეგ კი ისინი მიწაზე ჩამოცვივდა.

მეცნიერების ინფორმაციით, დედამიწაზე ჩამოვარდნილი მეტეორიტის ნამსხვრევები უძველესი მინერალებისგან შედგება და ძვირად ფასობს. როდესაც ეს ადგილობრივებისთვის გახდა ცნობილი, რომელთა უმრავლესობა ფერმაში მუშაობს და დაბალი შემოსავალი ჰქონდა, ისინი არემარეს შეესივნენ და კოსმოსური სხეულის ნამტვრევების შეგროვება დაიწყეს. მათგან ყველაზე მსხვილი 40 კილოგრამს იწონიდა და მკვლევრები მზად იყვნენ, მასში 27 ათასი დოლარი გადაეხადათ.

მკვლევრებმა და კოლექციონერებმა მთელი მსოფლიოდან სანტა-ფილომენას მიაშურეს, რათა უიშვიათესი კოსმოსური სხეული შეისწავლონ და მისი ნამსხვრევები შეაგროვონ. მილიონერებმა მასობრივად დაიწყეს ნამსხვრევების შესყიდვა, რათა ისინი ბრაზილიიდან გაიტანონ და შემდეგ კიდევ უფრო ძვირად გაყიდონ.

მამაკაცმა ბანკის შეცდომის წყალობით 150 ათასი დოლარი მიიღო

ამერიკის მინესოტას შტატის ქალაქ კრისტალის მკვიდრმა მოულოდნელად ბანკის შეცდომის წყალობით 150 ათასი დოლარი მიიღო საკუთარ ანგარიშზე.

უცნაური გადარიცხვის ნახვის შემდეგ 73 წლის თომას ფალინგმა გადაწყვიტა, რომ ბანკის თანამშრომლები მას მალე დაუკავშირდებოდნენ და ყველაფერს გაასწორებდნენ. თუმცა, ორი კვირის შემდეგაც თანხა მის ანგარიშზე რჩებოდა და ამის შემდეგ მამაკაცი უკვე თავად დაუკავშირდა ფინანსურ ორგანიზაციას.

გაირკვა, რომ თომასმა ფული ხელფასების დაცვის პროგრამის ფარგლებში მიიღო, რომელიც კორონავირუსის პანდემიის დროს მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად შეიქმნა.

ამ დროისთვის ბანკმა საკუთარი შეცდომა გამოასწორა, ხოლო მამაკაცმა იხუმრა, რომ ფულის გამოტანას და მექსიკაში გაქცევას აპირებდა.

– 150 ათასი დოლარის მიღების წინააღმდეგი არ ვყოფილვარ, თუმცა არა მცირე ბიზნესის ხარჯზე, რომელიც მის გარეშე შესაძლოა გაკოტრებულიყო, – განაცხადა თომას ფალინგმა.

ზვიგენი მეთევზის ნავს თავს დაესხა და ნაწილი მოაკვნიტა

დიდი თეთრი ზვიგენი, რომელიც ასევე კაციჭამია-ზვიგენის სახელითაც არის ცნობილი, ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ ფორსტერის მახლობლად მეთევზის ნავს თავს დაესხა და ძრავის ნაწილი მოაკვნიტა.

30 აგვისტოს დინ ბატლერი ზღვაში ნავით თევზაობდა. მან წყლის ზედაპირზე მოტივტივე ვეშაპის გვამი შენიშნა და ნავი შეაჩერა, რათა ვიდეოზე გადაეღო, თუ როგორ გლეჯდა მას ათამდე ზვიგენი.

– ძალიან დიდი თეთრი ზვიგენი და მსხვილი ვეფხვისებური ზვიგენი შევნიშნე, ვფიქრობ, თითოეული 400 კილოგრამამდე იქნებოდა, – განაცხადა ბატლერმა. სამმეტრიანმა ზვიგენებმა ავსტრალიელის ნავის გარშემო დაიწყეს ტრიალი, შემდეგ დიდი თეთრი ზვიგენი ნავის კიდეს დაეძგერა და ძრავის პროპელერის ნაწილი მოაკვნიტა.

– მიხარია, რომ მათი ნახვა დღის სინათლეზე შევძელი, ვინაიდან სიბნელეში ადვილი შესაძლებელი იყო, მათ დავჯახებოდი, ხოლო ნავიდან წყალში მათ შორის აღმოჩენა ძალიან საშიში იქნებოდა, – აღნიშნა მეთევზემ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნანა ხურითი ახალგაზრდებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს

სოხუმის თეატრის მსახიობი ნანა ხურითი ახალგაზრდებს საკუთარ გამოცდილებას „აიქიუ აკადემიაში“ გაუზიარებს.

თეატრალურ-ვოკალური სტუდიის პედაგოგს, კინოსა და თეატრის მსახიობ ნანა ხურითს შესრულებული აქვს 50-მდე როლი სხვადასხვა თეატრში და ჩაწერილი აქვს 40-მდე რადიოსპექტაკლი. მას მიჰყავდა გადაცემა „კულტურის ერთი საათი“ მედიაკავშირ „ობიექტივზე“ და ქართულ არხზე. დღემდე არის სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი.

ამჯერად ნანა ხურითი ახალგაზრდებთან იმუშავებს და მათ იმ ცოდნას გადასცემს, რომელიც წლების განმავლობაში დაუგროვდა.

მამუკა ჩარკვიანი 65 წლისაა

მომღერალი და არაერთი ცნობილი ჰიტის ავტორი მამუკა ჩარკვიანი 65 წლის გახდა.

პანდემიის გამო ხელოვანმა ვერ შეძლო თუნდაც მოკრძალებული კონცერტის ჩატარება და მონატრებული მსმენელისთვის საღამოს გამართვა. სამაგიეროდ, მრავლად მიიღო მილოცვა და საუკეთესო სურვილი იმ ათასობით მსმენელისგან, რომლებსაც წლებია, მისი თითოეული შემოქმედებითი სიახლე უხარია.

მამუკა ჩარკვიანის სიმღერები ძირითადად მამის, პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსებზე იქმნება, მის სიმღერებს კი სხვადასხვა თაობის მომღერლები თუ ანსამბლები ასრულებენ.

იუბილარი ხელოვანისთვის მთავარი სურვილი ჯანმრთელობაა, რადგან მაყურებლის სითბო და სიყვარული ისედაც არ აკლია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

შოტლანდიაში მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ცხვარი გაყიდეს

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ცხვარი შოტლანდიაში გამართულ აუქციონზე რეკორდულ თანხად 367,5 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცხვარი სახელად ორმაგი ბრილიანტი ტექსილის ჯიშს განეკუთვნება, რომელსაც ძირითადად გასამრავლებლად იყენებენ. აღსანიშნავია, რომ ამ ჯიშის ცხვრის ხორცი თავისი შესანიშნავი ხარისხითაა ცნობილი.

წინა რეკორდი 2009 წელს ასევე შოტლანდიაში დამყარდა. მაშინ ამავე ჯიშის ცხვარი 231 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

პატარძალმა საკუთარ ქორწილში გულის შეტევა გადაიტანა

ისრაელის სდოტ-ნეგევის რეგიონის მკვიდრმა ქალმა საკუთარ ქორწილში გულის შეტევა გადაიტანა.

კვირას, 30 აგვისტოს, 33 წლის პატარძალი საქორწინო ცერემონიის დროს, რომელიც კერძო სახლის ეზოში მიმდინარეობდა, ცუდად გახდა და ძირს დაეცა. ქორწილის რამდენიმე სტუმარი პროფესიონალი ექიმი გამოდგა და მათ პატარძალს სასწრაფო დახმარების მოსვლამდე პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

ქალი, რომელიც თავადაც ექიმად მუშაობს, გულის შეტევით კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ქალაქ ბერ-შევას საავადმყოფოში გადაიყვანეს. გზაში მას რეანიმაცია გაუკეთდა.

ამჟამად ქალი საავადმყოფოს კარდიოქირურგიული განყოფილების ინტენსიური თერაპიის პალატაში იმყოფება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

წასულები, გაგდებულები, მოღალატეები

ესპანური მედია აქვეყნებს სტატიას, სადაც ბარსელონის ლეგენდების მოულოდნელი წასვლაა განხილული. ამ ტრანსფერებში მსგავსებაც ბევრია და განსხვავებაც.

დიეგო მარადონა

დიდი დიეგო ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ბარსამ სატრანსფერო რეკორდი მოხსნა იმისათვის, რომ არგენტინიდან ჩამოეყვანა, ყველამ იცოდა, რომ საქმე მოვლენასთან ჰქონდა, მაგრამ რაღაც ვერ აეწყო, მარადონა მწვრთნელით იყო უკმაყოფილო, მო-

საწყენ, დაცვით ფეხბურთს თამაშობდა, ამის ატანა კი დიეგოს არ შეეძლო, ბუნტის მოსაწყობად შუსტერის აყოლიებას ცდილობდა, რომელიც ასევე შემტევი ფეხბურთის მომხრე იყო, მაგრამ გერმანელი დისციპლინას იყო მიჩვეული და მდუმარედ იტანდა ყველაფერს იქამდე, სანამ პრობლემა პირადად მას არ შეეხო. კონფლიქტი იყო ნუნიესთანაც, მაგრამ პრობლემები თავად დიეგოსაც ჰქონდა, ჯერ ჰეპატიტი აიკიდა და მის მკურნალობას შეალია დრო, შემდეგ ფეხი მოსტეხეს და ასევე ბევრი გაუცდა, მოგვიანებით ავტობიოგრაფიულ წიგნში დაწერს, რომ კოკაინი პირველად ბარსელონის ღამის კლუბში გასინჯა, მოკლედ, ის 2 წელი ქარს გაატანა. არადა, ტაშიც ბევრი მიიღო, ის დაუვიწყარი გოლიც იყო ცრვენა ზვეზდას კარში, მაგრამ, საბოლოო ჯამში, დიეგომ ვერ აჩვენა ის, რასაც მისგან ელოდნენ. ლოდინით კი ელოდნენ იმას, რაც შემდეგ ნაპოლიში აჩვენა. იტალიაში გადაბარგებით მარადონამ სატრანსფერო რეკორდი მეორედ მოხსნა.

ბერნდ შუსტერი

შუსტერი მარადონას წასვლის შემდეგ ბარსას უპირობო ლიდერი გახდა, მაგრამ ჩემპიონთა თასის ფინალში, 85-ე წუთზე შეცვალეს. შუსტერს კარგი მომენტი ჰქონდა, რომელიც ვერ გამოიყე-

ნა და გუნდებმა დამატებით დროში გადაინაცვლეს, შემდეგ კი საქმე პენალტების სერიამდე მივიდა.

წესითა და რიგით, პირველი თერთმეტმეტრიანი შუსტერს უნდა შეესრულებინა, მაგრამ მოედანზე აღარ იყო. იმ მატჩში სტიაუას მეკარე ჰელმუტ დუკადამმა ყველა პენალტი მოიგერია და თავის გუნდს სენსაციური გამარჯვება მოუტანა. ამ დროს კი შუსტერი უკვე სასტუმროში იყო. მან მაშინვე დატოვა სტადიონი, როგორც კი შეცვალეს. შუსტერს ეგონა, რომ ბარსა ადრე თუ გვიან გაიტანდა და გაბრაზებული მედალს არ ჩაიბარებდა, მაგრამ სასწაული მოხდა და ბარსელონა დამარცხდა.

ამ საქციელის გამო ნუნიესმა კონტრაქტი გაუწყვიტა და გუნდიდან გაუშვა.

მიქაელ ლაუდრუპი

ლაუდრუპს იოჰან კრუიფთან ჰქონდა რთული ურთიერთობა. ვერ გამოდგა დანიელი ისეთი აზარტული, როგორიც იოჰანი, ამიტომ ბოლომდე ვერ იგებდა, მისგან რას ითხოვდნენ, თითქოს იდეალური ტრიო ჰქონდა რომარიო-სტოიჩკოვთან, მაგრამ ისტორიას მათი დუეტი უფრო შემორჩა, ლაუდრუპის გარეშე.

მიქაელი მადრიდის რეალში გადაბარგდა, მაგრამ გულშემატკივართა გულისწყრომა არ დაუმსახურებია, რადგან ყველა ხვდებოდა, რომ უსამართლოდ იჩაგრებოდა, მას კი შურისძიება სურდა, ისევე, როგორც რეალიდან ბარსელონაში წასულ ლუის ენრიკეს.

რომარიო

ერთ-ერთი ყველაზე მაგარი ფორვარდი, რომელიც ბარსას ჰყოლია. მისი პრობლემა ბრა-

ზილიური გენები იყო. კრუიფი მის მორჯულებას იქამდე ახერხებდა, სანამ ბრაზილიელმა მსოფლიოს ჩემპიონატი არ მოიგო. ამან კი თითქოს უფლება მისცა, კრუიფზე მაღლა დაეყენებინა თავი, რადგან ჰოლანდიელს მსოფლიო ჩემპიონატი არასდროს მოუგია.

მეტიც, რომარიო მუნდიალის მოგების მერე კლუბში არ დაბრუნდა, მეტი დრო ითხოვა გართობისთვის, სამბასთვის, სასმელისთვის, ქალებისთვის და ყველაფერ იმისათვის, რასაც ბრაზილიელები ითხოვენ. ასე დამთავრდა რომარიოს ამბავი.

რონალდო

ბრაზილიელი თანახმა იყო, 9-წლიანი კონტრაქტი გაეფორმებინა. მართალია, ხელფასი მაღალი იყო, მაგრამ ამ 9 წელიწადში ფასები ისე გაიზარდა, ბარსასთვის იდეალური კონტრაქტი იქნებოდა. საბოლოოდ, ნუნიესმა იუარა და რონალდო ინტერს დაუთმო. არადა, კონკრეტულად იმ წლებში ბრაზილიელი პელეს დონეზე თამაშობდა.

ამ ტრანსფერმა ყველაზე მეტად იქონია გავლენა ბარსელონის მომავალ ისტორიაზე. იმაზეც, რომ იმ ეპოქაში არც ბარსასა და არც რონალდოს ჩემპიონთა ლიგა არ მოუგიათ. ბრაზილიელმა კარიერა ისე დაასრულა, რომ ლიგის თასი არ ეღირსა, არადა, ბარსასთან ერთად ეს შესაძლებელი იქნებოდა.

ფიგუ

ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ღალატის ისტორია 2000 წლის 13 მაისს იწყება. ამ დღეს ესპანურმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ხოსეპ ლუის ნუნიესი თავის 22– წლიან დინასტიას ასრულებდა და თანამდებობას ტოვებდა.

თუმცა ყველაზე ცუდი ის იყო, რაც წასვლის წინ დაიბარა – ლუიშ ფიგუს გაუმჯობესებულ კონტრაქტს არ გაუფორმებდა.

ამ დროს მადრიდის რეალის პრეზიდენტობისთვის ფლორენტინო პერესი იბრძოდა, რომლის სიტყვამ მთელი ესპანეთი შოკში ჩააგდო, მიუხედავად იმისა, რომ ხალხმა ეს საარჩევნო ხრიკად, ზოგმა კი პროვოკაციად აღიქვა. არადა, პერესმა თქვა, რომ გამარჯვების შემთხვევაში მადრიდში ლუიშ ფიგუს ჩაიყვანდა.

ეს არავის სჯეროდა, მაგრამ ფიგუ მაინც აღმოჩნდა რეალში. მისი ტრანსფერი რეალურად რამდენიმე ეგოს გადაჰყვა. ერთი მხრივ, საქმეში იყვნენ ძუნწი ვაჭრები – ნუნიესი და გასპარი, ხოლო მეორე მხრივ – ხარბი ლუიშ ფიგუ და მისი აგენტი ხორხე ვეიგა.

რივალდო

ბარსელონაის სული და გული ლუი ვან გაალის მეორედ მისვლამ შეიწირა. როცა ჰოლანდიელს სეზონის დასრულება არ აცადეს, რივალდოს მიმართ დანაშაულის გრძნობა გაორკეცდა, მაგრამ დიდი სინანული მაინც არავის ჰქონია, რადგან მილანში გამოჩნდა, რომ რივალდოს დრო წავიდა, სულ რაღაც ერთი სეზონის მერე, ბრაზილიელი ოლიმპიაკოსში აღმოჩნდა, მაგრამ მისი ძაღლივით გაგდება კლუბისთვის დიდი სირცხვილი იყო.

რომარიოსა და რონალდოს პატივსაცემად ჩაატარეს ამხანაგური შეხვედრა ბრაზილიასა და ბარსელონას შორის, რონალდინიოს პატივსაცემად გამპერის თასზე მილანი მიიწვიეს და პუბლიკამ პატივი მიაგო ბრაზილიელს. აი, რივალდო კი ბოლომდე შეურაცხყოფილი დატოვეს. არადა, კლუბისთვის ყველაზე მეტი სწორედ მან გაიღო.

რონალდინიო

ერთ დროს ბარსა პრინციპული გუნდი იყო, რონიმ სეზონი ჩააგდო, დისციპლინა დაარღვია, ვარჯიშებს აცდენდა, წონაში მოიმატა, კონფლიქტი ჰქონდა სამუელ ეტოოსთან, რომელიც მუდმივად საყვედურობდა, რომ ვარჯიშებზე არ იხარჯებოდა. ამიტომაც არ მოუთმინეს და გაუშვეს. მოკლედ, ყველაფერ იმას აკეთებდა, რასაც დემბელე, ოღონდ რონალდინიო იყო და მაინც გაუშვეს.

ახლა კი გუნდმა, როგორც ჩანს, პრინციპებიც დაკარგა. რონის გაშვება კი აბსოლუტურად გამართლებული იყო, რაშიც მომავალმა დაგვარწმუნა.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი

მის დატოვებას აზრი არ ჰქონდა, მაინც ვერ ითამაშებდა იქ, სადაც მისი ადგილი იყო, პეპთან კი კონფლიქტი ჰქონდა და ამას არაფერი

ეშველებოდა, თან, იბრა მხოლოდ მაშინ არის ძლიერი, როცა თამაში მასზე ეწყობა, ეს კი ბარსაში გამორიცხული იყო, ბურთი მესიზე ხშირად კი არა, ჩავიზე და ინიესტაზე ხშირადაც არ ექნებოდა. რეალურად ის მხოლოდ დამაგვირგვინებელ ფაზაში სჭირდებოდათ, ეს კი იბრასთვის ძალიან მცირე იყო.

მისი გაშვება გამართლებული იყო, მაგრამ უფრო გაუმართლებელი იყო მიყვანა.

ნეიმარი

ალბათ, ყველაზე მოულოდნელი ტრანსფერი. ბრაზილიელს არც კონფლიქტი ჰქონია ვინმესთან, არც კლუბს უნდოდა მისი გაშვება, უბრალოდ, რაღაც ილუზიები ჰქონდა და ამ ილუზიებმა იმსხვერპლა, თითქოს პარიზში უფრო მაღალ დონეზე შეეძლო თამაში, „ოქროს ბურთის“ მოგების მეტი შანსი ექნებოდა და გუნდის უპირობო ლიდერი გახდებოდა.

ფულმაც, ალბათ, თავისი გააკეთა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

თეთრმა დათვმა ნიდერლანდელი მოკლა

კუნძულ დასავლეთ შპიცბერგენზე თეთრი დათვი თავს დაესხა უიარაღო ნიდერლანდელს და მოკლა.

ინციდენტი ტურისტულ კარვების ბანაკში, ქალაქ ლონგიირის მახლობლად მოხდა დაახლოებით დილის ოთხ საათზე. თეთრი დათვი თავს დაესხა 38 წლის იოჰან იაკობა კოოტეს, რომელიც ბანაკის მენეჯერად მუშაობდა.

მტაცებელი მოკლეს ადგილობრივებმა, რომლებიც მისი თავდასხმის ადგილის მახლობლად აღმოჩნდნენ. შემდეგ ისინი დაშავებულს იქვე ახლოს მდებარე აეროპორტამდე მიღწევაში დაეხმარნენ, თუმცა მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა. ის მიღებული დაზიანებებისგან გარდაიცვალა.

უიშვიათესი თეთრი ყვავი გადაარჩინეს და ხორცით გამოკვებეს

ინდოეთის ტამილნადის შტატის ქალაქ კუდალორში უიშვიათესი თეთრი ყვავი გადაარჩინეს. ამის ამსახველი კადრები ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა.

ცხოველების დამცველებმა უჩვეულო შეფერილობის ფრინველი დაიჭირეს, გალიაში მოათავსეს და ხორცით გამოკვებეს. მიზეზი, თუ რატომ დასჭირდა მას დახმარება, არ სახელდება.

– თეთრი ფერის ყვავს ასევე ალბინოსს უწოდებენ, – განმარტა ადგილობრივმა აქტივისტმა სელვამ, – თეთრი პიგმენტაცია გამოწვეულია გენეტიკური მიზეზებით ან ჰორმონალური უკმარისობებით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 2. კვერცხების ვარგისიანობის შესამოწმებელი ელექტროხელსაწყო; 3. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 4. ქართული ნაციონალური კერძი; 5. ღვინისა და დროსტარების ღვთაების პატივსაცემი დღესასწაული ძველ ათენსა და რომში; 10. მაროკოს დედაქალაქი; 11. უდაბნოში მზარდი მცენარე; 12. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 13. ფრანგი სოციოლოგი, ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 16. ლიგურიის ზღვისპირა კურორტი იტალიაში; 17. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 19. უზენაესი სასამართლო ძველ საბერძნეთში; 21. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 23. შავი ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

თარაზულად: 6. სიცოცხლით სავსე, მეტისმეტად ხალისიანი ადამიანი; 7. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 8. შიშით გამოწვეული მღელვარება; 9. უმაღლესი წოდება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 14. ქედი სამხრეთ საქართველოში; 15. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 18. იმრე კალმანის ოპერეტა; 20. ცნობილი უნგრელი მოჭადრაკე დების გვარი; 22. პატარა სამკუთხა ალამი; 24. ბრიტანული ფარმაცევტული კომპანია; 25. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 26. კუბის დედაქალაქი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყუმი; 2. აპაჩი; 3. შრატი; 5. ნადული; 6. კემპინგი; 9. ესკადრილია; 10. ვანდალები; 11. ჯვრისწერა; 14. მეი; 16. ბატიკა; 18. რიგა.

თარაზულად: 1. ყავარი; 4. დინამიკა; 7. საბენა; 8. ტარხუნა; 12. აკაბა; 13. ამპერი; 15. ედიქტი; 17. ნიუ; 19. აზერბაიჯანი; 20. ყანწი; 21. სამაია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფერხული; 2. საფიხვნო; 3. ალოტროპია; 4. ფეოდალი; 5. დეპორტაცია; 10. ბორანი; 11. ფეხბურთი; 12. იმერეთი; 13. დიზაჟიო; 16. პარამეტრი; 17. ჯაყელები; 19. ალტიტუდა; 21. შტატი; 23. პუნში.

თარაზულად: 6. თედიაშვილი; 7. მერჩულე; 8. კულუხი; 9. ერდოღანი; 14. დილიჟანი; 15. პრეამბულა; 18. კათხა; 20. ბარტერი; 22. კოპტები; 23. სტრიპი; 25. სტატისტი; 26. ტოშიბა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

3 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0751

ევრო — 3.6468

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1086

100 რუსული რუბლი — 4.1513

ამინდის პროგნოზი 3 სექტემბრისათვის

ოთარ კიტეიშვილს კოვიდ 19 დაუდგინდა

ავსტრიული შტურმის ქართველ ნახევარმცველ ოთარ კიტეიშვილს კორონავირუსი დაუდასტურდა და ამ მიზეზის გამო ის საქართველოს ნაკრებს ვერ დაეხმარება. კიტეიშვილის გარდა, დაავადება მის ერთ-ერთ თანაგუნდელსაც დაუდგინდა. კიტეიშვილს ვირუსი მსუბუქ ფორმებში აქვს და ის რამდენიმე კვირაში, შესაძლოა, მოედანზეც დაბრუნდეს. კიტეიშვილი შტურმში ორი წლის წინ გადავიდა და ის გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება.

რაკიტიჩი: „ბარსელონაში ბედნიერი პერიოდი მქონდა“

სევილიაში დაბრუნებულმა ივან რაკიტიჩმა ბარსელონაზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ გუნდში მან ძალიან ბედნიერი პერიოდი გაატარა. რაკიტიჩი მადლობელია ბარსელონის და ამ კლუბზე ყოველთვის კარგი მოგონებები ექნება:

– ბარსელონაში 6 წელიწადი გავატარე და ეს ის პერიოდი იყო, როდესაც გუნდმა ბევრი ტიტული მოიგო, თუმცა, რა თქმა უნდა, იყო მწარე გამოცდილებებიც, მაგრამ ეს ფეხბურთის ნაწილია. მომავალში ბარსელონას მხოლოდ წარმატებას ვუსურვებ.

სერხიო რამოსი ახალ კონტრაქტს გააფორმებს

მადრიდის რეალის ცენტრალური მცველი სერხიო რამოსი გუნდთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს და, სავარაუდოდ, ის სამეფო გუნდში მინიმუმ 2023 წლამდე დარჩება. კონტრაქტის მიხედვით, რამოსი რეალში კვლავინდებურად ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იქნება.

სერხიო რეალში 2006 წელს გადავიდა. მას შემდეგ ის რეალის ერთ-ერთი ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა და რამდენიმე რეკორდიც დაამყარა.

ნეიმარს, შესაძლოა, კოვიდ 19 ჰქონდეს

ფრანგულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პსჟ-ს ბრაზილიელ ვარსკვლავ ნეიმარს, შესაძლოა, კორონავირუსი ჰქონდეს და პსჟ-მ ამის გამო გუნდში კარანტინი გამოაცხადოს.

ოფიციალურად ეს ინფორმაცია არ დადასტურებულა, თუმცა, დიდი ალბათობით, ეს სიმართლეა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, პარიზული გუნდი ამას უარყოფდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

3 სექტემბრისათვის



ვერძი – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **ჯერო** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – ზედმეტი თავდაჯერებულობაც და გაუბედაობაც დაგაზარალებთ. ზომიერება დაიცავით. **ღრიანცალი** – კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

...

მდივანი ფირმის ხელმძღვანელს ეუბნება:

– ბატონო დირექტორო, ახლახან მოვიდა წერილი ჩვენი ფილიალიდან. გვწერენ, რომ მათთან წყლის საქმე ცუდადაა, უბრალოდ, კატასტროფულია.

– ოჰ, ერთი მაგათი, ეგენი ყოველთვის რაღაცას იგონებენ.

– მაგას ვერ ვიტყოდი, ბატონო დირექტორო, აი ნახეთ, კონვერტზე მარკა სარჭითაა დამაგრებული...

...

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– დღეს გამოუძინებელი ვარ...

– მიზეზი?

– მიზეზი იგივეა, გამოუძინებელი ვარ...

...

მამა შვილს ჭკუას არიგებს:

– შვილო, დაიმახსოვრე, ჭკვიან ადამიანს ყოველთვის ყველაფერში ეჭვი ეპარება. მხოლოდ უტვინო შეიძლება იყოს რაიმეში დარწმუნებული.

– მამა, დარწმუნებული ხარ?

– აბსოლუტურად!

...

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– თუ არსებობს ისეთი მომენტი, როდესაც დეპუტატობის კანდიდატები ამომრჩევლებს არ ატყუებენ?

– კი, როდესაც მათ არ ელაპარაკებიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქარდი ბი ბალენსიაგას სახეა

მსოფლიოს ცნობილი რეპერი მომღერალი ქალი ქარდი ბი ბალენსიაგას ახალი სახე გახდა.

მომღერალმა ფოტოგრაფებისთვის უკვე იპოზიორა. გადაღებები ლოს ანჯელესში მიმდინარეობდა.

სარეკლამო პლაკატები ევროპაში გავრცელდა. პარიზში, ლუვრის მუზეუმის ფასადზე, ქარდი ბის სარეკლამო ბანერი გაჩნდა. ბალენსიაგას ახალი კამპანიის პირველი ბილბორდი სწორედ მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმულ მუზეუმზე გამოიფინა.

„მთავარი ჭკვიანი“ — ახალი შოუ მთავარ არხზე

„მთავარი არხი“ სულ მალე მაყურებელს ახალ შოუს შესთავაზებს.

„მთავარი ჭკვიანი“ – ასე ეწოდება გადაცემას, რომელშიც მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია, რომლის ასაკიც 16 წელს ზემოთაა.

– აქციე შენი დიდი ცოდნა დიდ ფულად! მოიპოვე მთავარი ჭკვიანის ტიტული და მოიგე 50.000 ლარი! აქ მთავარია შენი ერუდიცია, ლოგიკა და რისკი! – ასეთია გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფის მოწოდება.

„მთავარი ჭკვიანი“ ეთერში ახალ სატელევიზიო სეზონზე გამოჩნდება.



გელათში დავით აღმაშენებლის ფრესკა წვიმამ დააზიანა

გელათის ეკლესიაში მეფის დავით აღმაშენებლის ფრესკა წვიმამ დააზიანა.

ინფორმაცია და ფოტო ინტერნეტში თეიმურაზ გვანცელაძემ გაავრცელა:

– გელათის მონასტრის უვარგისი კრამიტით გადახურვის შედეგად წვიმამ დაასველა ის კედელი, რომელზეც დავით აღმაშენებლის ფრესკაა გამოსახული.

ასე ვუვლით მემკვიდრეობას.

ერეკლე გეწაძე ხალხის რჩეული გახდა



მუსიკოსი და მსახიობი ერეკლე გეწაძე ბრიტანული რადიოს „სელექტორის“ გამარჯვებულია ნომინაციაში „ხალხის რჩეული“.

ინფორმაცია ბრიტანეთის საბჭომ გაავრცელა:

– ძალიან სასიხარულო ამბავი გვაქვს! ერეკლე გეწაძე გახდა ბრიტანული რადიო სელექტორის კონკურსის გამარჯვებული ნომინაციაში „ხალხის რჩეული“. რაც შეეხება უშუალოდ რადიოს დიჯეი ჯემზ სუპერნოვას მიერ შერჩეულ ჯგუფს, ის უკრაინული ბენდია.

კონკურსი ბრიტანეთის საბჭოს ინიციატივით განხორციელდა და მასში საქართველოდან მონაწილე პირველად მოხვდა.

ერეკლე გეწაძე ჩვენი პატარა საქართველოდან უპირობოდ ლიდერობდა კონკურსის განმავლობაში.

რადიო სელექტორი მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში აცნობს რადიომსმენელებს საუკეთესო ბრიტანულ მუსიკასა და ნიჭიერ ახალგაზრდებს, აკავშირებს რა მუსიკის მოყვარულებს ყოველკვირეულად ესპანეთიდან ჩინეთამდე. ამ ყოველკვირეულ ორსაათიან რადიოპროგრამას უძღვება ჯემზ სუპერნოვა, რომელიც გთავაზობს ახალ და საინტერესო მუსიკას, მიუხედავად ბენდისა, მუსიკოსისა თუ ჟანრისა.

ვულოცავთ ერეკლე გეწაძეს ამ შესანიშნავ გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებას!

ქართული ზღაპრები ფრანგულად გამოიცა

ცნობილი ქართული ზღაპრები ფრანგულად ითარგმნა და გამოიცა, მათი სარეკლამო ბანერები კი პარიზის მეტროსადგურებშია გამოფენილი.

სასიხარულო ინფორმაცია ინტერნეტში გავრცელდა:

– წარმოუდგენელი ამბავია! ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდით! არც მეტი, არც ნაკლები, პარიზის მეტროსადგურებში გამოფენილია ბილბორდები, სადაც ფრანგულად გამოცემული ქართული ზღაპრების წიგნის რეკლამებია. ამ წიგნის წინასიტყვაობა, ფრანგულად დატანილი, ეკუთვნის დათო ლიკლიკაძეს, ხოლო წიგნები გაფორმებულია ქართველი ბავშვების ნახატებით. ეს ბავშვები კი ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრის სამხატვრო სკოლაა. ბრავო, ნატალი პატარიძე, ათასი მადლობა საფრანგეთის გამომცემლობა ედიტიონს მედუზას.

ტორესა მოსი: „სიღარიბე მძულს!“



აცხადებს მწერალი ტორესა მოსი და თავის განცხადებას ასე განმარტავს:

– სიღარიბე მძულს. სიღარიბე ნიშნავს უხარისხო ჯანდაცვას, მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურას, გაუმართავ ავტომობილებს, მოუწესრიგებელ გარემოს, მუდმივ სტრესს, დაძაბულობას...

სიღარიბე აქცევს ადამიანის ცხოვრებას ჯოჯოხეთად, სიღარიბე გვტოვებს დაუცველებად საფრთხეების პირისპირ, სიღარიბე ადამიანურ სახეს გვაკარგვინებს, სიღარიბე ნიშნავს ცუდ კვებას და სიღარიბე ამცირებს ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობას. ამიტომ მთავარი კითხვა ის კი არ არის, ვის უფრო მეტად უყვარს სამშობლო, ვინ როგორი კაცი ან ქალია, ვის რა უკეთებია, სად ლოცულობს, რისი სწამს და ა.შ. მთავარი კითხვაა, ვის შეუძლია შექმნას ჩვენი სწრაფი გამდიდრებისთვის საჭირო გარემო.

ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს: სამართლიან სასამართლოს, სახელმწიფოს ხელში არსებული ქონების დაბრუნებას ამ ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის თანაბრად, საკუთრების უკომპრომისო დაცვას, მეტ თავისუფლებას თითოეული ადამიანისთვის, რაც შეიძლება დაბალ გადასახადს, რაც შეიძლება ნაკლებ ბიუროკრატიას. სხვა ყველაფერი არის სადღეგრძელო, მაგაში ნაღდად ვერავინ გვჯობს, მაგრამ, ფაქტია, არაფერში გვადგება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. სანადირო თოფების წარმოების ცენტრი გერმანიაში; 2. მდინარის ჩამონატანი სილა, თიხა, ღორღი; 3. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 5. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 6. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 9. მზის გადასაღები ფოტოაპარატიანი ტელესკოპი; 10. უბანი ქუთაისში; 11. ესპანური ჩქარტემპიანი ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 14. რაიმე ჩამონათვალი; 16. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 18. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში.

თარაზულად: 1. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი ხორვატიაში; 4. წყნარი ოკეანისპირა პოპულარული კურორტი მექსიკაში; 7. იაპონური ციფრულ-ლოგიკური თავსატეხი; 8. იახტის სამართავი საჭე; 12. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 13. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში; 15. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 17. კედელზე საკიდი ელექტრონათურა; 19. ნიადაგის გამაფხვიერებელი აგრეგატი; 20. ვაშლის ღვინო; 21. ტკბილი, დესერტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა